პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 3 აგვისტო, 1946 წ. № 154 (7627). ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

მომზადებული შევხვდეთ საშემოდგომო თესვას. მოწინავე (1-ლი გვერდი).
„ბელომორსტროის" კოლექტივის მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი და ამხანაგ სტალინის პასუხი (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-2 გვერდი).
ლევან ასათიანი — რუსთაველი (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება: მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობას არ აფასებენ (მე-2 გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში: სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რ. ა. რუდენკოს საბოლოო სიტყვა (მე-3 გვერდი).
ბავშვთა თვითმოქმედების მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები: დეპეშები (მე-4 გვერდი).

მომზადებული შევხვდეთ საშემოდგომო თესვას

საქართველოს სოფლის მეურნეობაში საშემოდგომო ნათესებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. წელს, მაგალითად, საშემოდგომოდ დაითესება 250 ათასი ჰექტარი. საკოლმეურნეო სოფლის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ თესვას, არსებითად გააუმჯობესონ საშემოდგომო მარცვლეულის მოყვანის აგროტექნიკა. ამთავითვე ბოლშევიკურად იზრუნონ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის.

მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა საანეულო ხვნა. ანეული მინდვრების დანაგვიანების ალმოფხვრისა და ნიადაგში ტენის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა. ის აუცილებელ პირობებს ჰქმნის მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. ბევრგან ეს კარგად გაითვალისწინეს, ძირითადად ნიადაგი საანეულოდ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მოხნეს. ასე მოიქცნენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ასპინძის, ბორჯომის, დუშეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, ამბროლაურის, მცხეთის, ყვარლის რაიონები. 25 ივლისისათვის რესპუბლიკაში, შარშანდელთან შედარებით, გაცილებით მეტია საანეულოდ მოხნული. მაგრამ ეს დამშვიდების საბაბს როდი იძლევა. წელს გაცილებით უკეთესი პირობებია საანეულო ხვნის გეგმის წარმატებით შესასრულებლად, ვინაიდან გაიზარდა მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ისინი უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური კადრებით, კოლმეურნეობებს დიდძალი მუშახელი შეემატა დემობილიზებულთა სახით. მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში სათანადოდ ვერ გამოიყენეს ეს პირობები, ხვნის დაწესებული ვადები ხელიდან გაუშვეს, ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების აშკარა შეუფასებლობა გამოიჩინეს. არ შეიძლება სხვანაირად აიხსნას ის ფაქტი, რომ ხაშურის რაიონს სანახევროდაც არ შეუსრულებია საანეულო ხვნის გეგმა. ადიგენის, გორის, ყარაიის, ბაშკიჩეთის რაიონებს 25 ივლისისათვის ხვნის სახელმწიფო დავალება განაღდებული ჰქონდათ 55,2-დან — 74,7 პროცენტამდე. ამ საქმის ერთგვარი შეუფასებლობა გამოიჩინეს მთელი რიგი მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმაც. მათ არასაკმაო დახმარება გაუწიეს თავიანთ მომსახურებაში შემავალ კოლმეურნეობებს საანეულო ხვნის ჩატარებაში. შინდისის, ბოგდანოვკის, თიანეთის, წალკისა და წნორის მტს-ებს ხვნის დავალება შესრულებული აქვთ 34,7—52 პროცენტამდე. საჭიროა ჩამორჩენილი რაიონებისა და მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა სასწრაფო ზომები მიიღონ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანეულის დროულად და მაღალხარისხოვნად დამუშავებას, მის სუფთად შენახვას თესვის დაწყებამდე, რადგან დაუმუშავებელი ანეული თითქმის სანახევროდ კარგავს თავის თვისებებს. ამ სერიოზული აგროტექნიკური ღონისძიების გასატარებლად ბევრგან თავს არ იწუხებენ. ამის გამო ანეულის პირველი კულტივაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო მეორე კულტივაცია დაწყებული აქვთ მხოლოდ ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებს. აუცილებელია უახლოეს დღეებში ამ მხრივაც მივაღწიოთ გარდატეხას, უზრუნველვყოთ ანეულის კარგი მოვლა და დამუშავება.

საშემოდგომო თესვისათვის მზადება სოფლად ემთხვევა ისეთ გადაუდებელ სამუშაოებს, როგორიცაა მოსავლის აღება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადება. ყველა ეს სამუშაო რომ წარმატებით შევასრულოთ, საჭიროა მეტი ორგანიზებულობა, მტს-ებისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაძლიერება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის სწორად მოწყობას, როგორც მუშახელის, ისე მთელი მექანიზებული ძალისა და მუშა საქონლის მაქსიმალურად გამოყენებას. არ უნდა დავუშვათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებისას მორიგეობის მავნე პრაქტიკა, რაც ჯერ კიდევ ბევრგან არ აღმოფხვრილა.

მოსავლიანობის გადიდების ძირითადი პირობაა მაღალხარისხოვანი, უხვმოსავლიანი თესლი. საჭიროა თესლი ავიღოთ საუკეთესო ნაკვეთებიდან, დროულად დავახარისხოთ და ავიყვანოთ სათეს კონდიციამდე. აქედანვე უნდა ვიზრუნოთ მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად, რომ თესვა მოწინავე აგროტექნიკის მოთხოვნათა მიხედვით ჩავატაროთ.

ყველა კოლმეურნეობამ, მტს-მა დროულად უნდა შეაკეთოს ტრაქტორისა და ცხენის სათესი მანქანები, მთელი ინვენტარი. მრავალი წლის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ მწკრივად თესვა მნიშვნელოვნად ადიდებს ხორბლისა და ქერის მოსავალს. ამიტომ ამ ღონისძიების განხორციელება სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

თესვის გაჭიანურება დიდ ზიანს აყენებს მოსავალს. ორი-სამი დღით დაგვიანება საშემოდგომო კულტურების მოსავალს ამცირებს ერთი მეოთხედიდან ერთ მესამედამდე. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა სოფლის აგრონომიული პერსონალი უფრო მეტად დაეხმაროს კოლმეურნეობებს თესვის გეგმის საუკეთესო ვადებში შესასრულებლად.

საშემოდგომო თესვა სექტემბერში დაიწყება. ჯერ კიდევ არის დრო ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება თესვის საუკეთესოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის, 1947 წელს მეტი პური მივცეთ საბჭოთა სამშობლოს!

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ყ. თავაძის საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ილია ყაისარის-ძე თავაძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 30 ივლისი

ქ. თბილისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. დ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 30 ივლისი

ქ. თბილისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიის გახსნისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია გაიხსნება ა. წ. 5 აგვისტოს საღამოს 8 საათზე თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობაში.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს 3 და 4 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობაში (ოთახი № 3) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 6 საათამდე, საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე, 5 აგვისტოს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 6 საათამდე იქვე, ხოლო საღამოს 6 საათიდან გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შენობაში.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ბელომორსტროის" მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი სიხარულით გიპატაკებენ თქვენ, რომ თქვენი დავალება სტალინის სახელობის თეთრი ზღვა—ბალტიის ზღვის არხის აღდგენისა და ნავიგაციის 1946 წლის ივლისში გახსნის შესახებ შესრულებულია.

არხი, რომელიც ბარბაროსულად დაანგრიეს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა, აღდგენილია. საბჭოთა მშენებლების ღონისძიებებით სამშობლოს დაუბრუნდა ჩრდილოეთის უდიდესი სანაოსნო მაგისტრალი, რომელიც თეთრ ზღვას ბალტიკასთან აკავშირებს. 25 ივლისს ონეგის ტბიდან პოვენეცის გზით გაიარეს პირველმა გემებმა—სამხრეთი დაქანების აღდგენილმა ნაგებობებმა 8 რაბის, 19 კაშხალისა და ჯებირის, არხის 10 უბნის, 5 წყალსაშვების შემადგენლობით გაიარა ყველა გამოცდა. 28 ივლისს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს, არხი ნორმალური ექსპლოატაციისათვის გაიხსნა.

მშენებელთა კოლექტივმა მოკლე ვადაში შეასრულა დიდი მოცულობის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები. შესრულებულია გრუნტის ამოღება და ყრილები 1.250.000 კუბმეტრის რაოდენობით, დაწყობილია 11.000 კუბმეტრი რკინაბეტონი, დადგმულია 113.000 კუბმეტრი ძელყორული კონსტრუქციები. ჯებირებში ჩაწყობილია 60 ათასი კუბმეტრი ქვა და ღორღი, აგებულია 25.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა. არხის ცალკეული ნაგებობანი აღდგენის მსვლელობაში მნიშვნელოვნად რეკონსტრუირებულია. არხი უკეთესი და უფრო ლამაზი ხდება, ვიდრე წინათ, ომამდე იყო.

მშენებლები დიდი აღმავლობითა და აღფრთოვანებით მუშაობდნენ. „ბელომორსტროის" კოლექტივი ჩაება სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა საწარმოო გეგმებს. შეჯიბრებაში წამყვან როლს კომუნისტები და კომკავშირელები ასრულებდნენ.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ბელომორსტროის" მშენებელთა კოლექტივი პირობას გაძლევს თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ კიდევ უფრო მეტი აღფრთოვანებით ვიმუშავებთ მეოთხე სტალინური ხუთწლედის—ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების ხუთწლედის დიად სამუშაოთა გეგმის განსახორციელებლად.

გამარჯვება და აყვავება ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს, შემოქმედ ხალხს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)—საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ მამას ამხანაგ სტალინს!

ბელომორსტროის მშენებელთა კოლექტივის დავალებით—

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ბელომორსტროის" სამმართველოს უფროსი ინჟინერ-პოლკოვნიკი ვ. პ. ბუსიგინი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ბელომორსტროის" მთავარი ინჟინერი ნ. ა. მალიშევი

კარელია-ფინეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. კუპრიანოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ბელომორსტროის" პოლიტგანყოფილების უფროსი მაიორი პ. ი. კუზნეცოვი

ქ. მედვეჟეგორსკი, 1946 წლის 25 ივლისი.

მედვეჟეგორსკი. კარელია-ფინეთის სსრ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ბელომორსტროი" ამხანაგებს ბუსიგინს, მალიშევს, კუპრიანოვს, კუზნეცოვს

მივესალმები და ვულოცავ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ბელომორსტროის" მშენებლებს თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის არხის უმნიშვნელოვანესი სანაოსნო მაგისტრალის აღდგენის მოკლე ვადაში დამთავრებას.

თქვენ მიერ ჩატარებული დიდი მუშაობა კვლავ ხსნის სანაოსნო გზას თეთრ ზღვასა, ვოლგასა და ბალტიის ზღვას შორის მასობრივი ტვირთების გადაზიდვისათვის და არსებითად განტვირთავს რკინიგზის ტრანსპორტს.

გისურვებთ თქვენ და „ბელომორსტროის" მთელ კოლექტივს შემდგომ საწარმოო წარმატებებს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ობიექტების მშენებლობის ხაზით დავალებული ახალი ამოცანების შესრულებაში.

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

ნ. მ. შვერნიკმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაცია

1 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაცია ბ-ნ ჰაროლდ ჯ. ლასკის, მორგან ფილიპსის, ჰაროლდ კლეისა და ქ-ნ ალისა ბეიკონის შემადგენლობით.

მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის ნორვეგიის დელეგაცია

ა. წ. 1 აგვისტოს მოსკოვს ჩამოვიდა ნორვეგიის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის სსრ კავშირისა და ნორვეგიის შერეულ კომისიაში შემდეგი შემადგენლობით: ჰ. ი. გაბრიელსენი, კ. გლედიტჩი, ი. იოჰანესენი, ვრედეჰოლმი, ე. ნიუგორდი და მდივანი კ. ორსი. დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა წარმომადგენლები დემარკაციის კომისიაში და ნორვეგიის მოსკოვის საელჩოს წევრები. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ცნობა

ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ განიხილა ა. ა. ვლასოვის, ვ. ფ. მალიშკინის, გ. ნ. ჟილენკოვის, ფ. ი. ტრუხინის, დ. ე. ზაკუტნის, ი. ა. ბლაგოვეშჩენსკის, მ. ა. მეანდროვის, ვ. ი. მალცევის, ს. კ. ბუნიაჩენკოს, გ. ა. ზვერევის, ვ. დ. კორბუკოვისა და ნ. ს. შატოვის საქმე ბრალდების გამო სამშობლოს ღალატში და იმაში, რომ ისინი, იყვნენ რა გერმანიის დაზვერვის აგენტები, აქტიურ ჯაშუშურ-დივერსიულ და ტერორისტულ საქმიანობას ეწეოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ", 58-8, 58-9, 58-10 და 58-11 მუხლებით.

ყველა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ სცნო მათთვის წაყენებულ ბრალდებებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 1 პუნქტის შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ბრალდებულებს ვლასოვს, მალიშკინს, ჟილენკოვს, ტრუხინს, ზაკუტნის, ბლაგოვეშჩენსკის, მეანდროვს, მალცევს, ბუნიაჩენკოს, ზვერევს, კორბუკოვსა და შატოვს მიუსაჯა სიკვდილი ჩამოხრჩობით.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

„ფიცის" უდიდესი წარმატება მოსკოვში

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ახალი კინოფილმი „ფიცი" კვლავ უდიდეს ყურადღებას იპყრობს მოსკოვში. დღეს, კინოფილმის დემონსტრაციის მესამე დღეს, ყველა კინოთეატრი, სადაც მისი ჩვენება მიმდინარეობს პირველი სეანსებიდანვე გაჭედილია მაყურებლებით. ფილმი უკვე ნახა სამასი ათასამდე კაცმა. კინოთეატრების ადმინისტრაცია ვერ აუდის უახლოესი დღეების სეანსებზე კოლექტიურ განაცხადთა მიღებას. სალაროებთან დიდი რიგებია. კინოთეატრ „მოსკოვის" ცნობით, დედაქალაქის ლენინგრადისა და სოვეტსკი რაიონებიდან მიღებულია რამდენიმე ასეული ათასი კაცის განაცხადი. მაყურებელნი, რომელთაც სურათი ნახეს, შთაბეჭდილების წიგნში აღნიშნავენ, რომ რეჟისორმა ჭიაურელმა შესძლო შესანიშნავი ფილმის შექმნა. დემონსტრაციის დროს კინოდარბაზებში ხშირად გაისმის მაყურებელთა მქუხარე ტაში. ისინი აღფრთოვანებით უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებას.

მაყურებელთა შთაბეჭდილების წიგნში ჩანაწერები დღითი დღე მატულობს. სამგზის საბჭოთა კავშირის გმირმა პოკრიშკინმა, რომელმაც ფილმი ნახა კინოთეატრ „მეტროპოლში", შთაბეჭდილების წიგნში ჩასწერა: „კინოფილმი „ფიცი" ღრმად მოფიქრებული და ნიჭიერად შესრულებული კინო-სურათია. ჩემში ამ სურათმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. როცა მას უყურებთ, გრძნობთ, რომ ყოველივე, რაც იქ ნაჩვენებია, ახლახან განვიცადეთ ყველამ დიადი მშენებლობისა და დიდი სამამულო ომის წლებში. უყურებთ სურათს და გიპყრობთ სიამაყე ჩვენი სამშობლოთი, საბჭოთა ხალხით, რომელიც აღზარდა და გამოაწრთო ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ძვირფასმა ამხანაგმა სტალინმა. სამშობლო—სტალინი ჩვენთვის განუყოფელი ცნებაა. ისეთი უძლეველი ძალა, როგორიც ჩვენი ხალხია, მსოფლიოში არ მოიპოვება. ჩვენი დამარცხება არავის არ შეუძლია. კინოსურათი „ფიცი" დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი აღგაფრთოვანებს დიადი მუშაობის, შრომისა, სწავლისა და საგმირო საქმეებისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. მე ვამაყობ, რომ ასეთი სამშობლო მაქვს და რომ მე მომიხდა ჩემი სამშობლოს დასაცავად ბრძოლა. გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, ჩვენ ძვირფას სტალინს".

მოსკოვის გაზეთები ფართოდ აშუქებენ „ფიცის" ტრიუმფს. „პრავდამ" დღეს პირველ გვერდზე დაბეჭდა ვრცელი ცნობა სათაურით „კინოფილმ „ფიცის" უდიდესი წარმატება". „პრავდის" კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ფილმს ასეთივე დიდი წარმატება აქვს კიევში, რიგასა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს გაზეთმა „კულტურა ი ჟიზნმა" დაბეჭდა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ ფილმში ჰხატვრული და ისტორიული სიმართლე ორგანულადაა შეერთებული, რაც ნამდვილი მომხიბვლელი ხელოვნების ნიშანია. გაზეთი „ფიცს" უწოდებს საბჭოთა კინემატოგრაფიის შესანიშნავ ნაწარმოებს და აღნიშნავს, რომ იგი ჭეშმარიტად მებრძოლი ხალხური სურათია, რომელიც თვალწინ გადაგვიშლის სოციალისტურ რევოლუციის ძალას, ლენინ-სტალინის დიადი იდეების ძალას, რომელიც გვიჩვენებს უკვე განხორციელებულ საქმეთა სიდიადეს და აღგვაფრთოვანებს ახალ-ახალი საგმირო საქმისათვის. გაზეთში დაბეჭდილია ვრცელი რეცენზია, რომელშიც დაწვრილებით არის აღნიშნული ფილმის შინაარსი, აგრეთვე მსახიობთა ოსტატური თამაში.

გაზეთმა „ვეჩერნაია მოსკვამ" გუშინ ფილმს უძღვნა მთელი გვერდი, რომელზეც დაბეჭდილია მაყურებელთა აღფრთოვანებული შთაბეჭდილებანი და საბჭოთა კინოხელოვნების ამ ახალი მიღწევის შემქმნელთა—ჭიაურელის, ოპერატორ კოსმატოვის, მსახიობთა გელოვანისა და გიაცინტოვას სტატიები.

საბჭოთა პრესის წარმომადგენლების საუბარი ინგლის-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დელეგაციის წევრებთან

ერევანი, 1 აგვისტო. (საკდესი). ერევანში მყოფ ინგლის-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დელეგაციის წევრებს 29 ივლისს საუბარი ჰქონდათ ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებთან. ინგლისელ სტუმრებს მისცეს შემდეგი კითხვები: 1. როგორია მათი შთაბეჭდილება საბჭოთა სომხეთის, მისი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შესახებ. 2. როგორია დელეგაციის წევრთა აზრი ახალ სამშობლოში საზღვარგარეთელი სომხების ჩამოსვლის შესახებ. 3. როგორ ეპყრობა ამას ინგლისის საზოგადოებრიობა?

დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა სტენლი ევანსმა განაცხადა: — ცხადია დიდი პროგრესი და განვითარება სომხეთის მთელი სახალხო მეურნეობისა, რაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში მოხდა. ჩვენ აღვნიშნავთ აგრეთვე მოსახლეობის გაზრდილ საარსებო დონეს. ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თქვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გრანდიოზულმა გეგმამ, აგრეთვე ერევანში განხორციელებულმა საბინაო მშენებლობამ.

— როდესაც ჩვენ ვესაუბრებოდით რესპუბლიკის განათლების მინისტრს, — ამბობს შემდეგ ბ-ნი ევანსი, — ჩვენ გავიგეთ, რომ მოსახლეობის 30 პროცენტი სკოლებში სწავლობს. უნდა გამოვტყდეთ, რომ თავდაპირველად ჩვენ ეს არ დავიჯერეთ. მაგრამ საქმის კარგად გაცნობის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ეს სწორია, ვინაიდან სომხეთ მოსახლეობის მნიშვნელოვან უმეტესობას ახალგაზრდობა შეადგენს.

ინგლისის პარლამენტის წევრმა იულ სილვერმენმა გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილება საბჭოთა სომხეთის კულტურის შესახებ.

— საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შემდეგ,— სთქვა მან, — დელეგაცია ყველგან ამჩნევდა სწავლისადმი საყოველთაო მისწრაფებას. უნდა ითქვას, რომ ასეთი ფართო მასშტაბით სწავლება, როგორც სომხეთშია, ჩვენ არსად არ გვინახავს. რესპუბლიკის მთავრობა დიდ სახსრებს ხარჯავს განათლების საქმეზე და ეს, უეჭველია, მომავალში თავის ნაყოფს გამოიღებს.

სასიხარულო შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა სომხეთში ბევრი თეატრია, და ეს თეატრები, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ყველასათვის მისაწვდომია, როგორც არსად მსოფლიოში.

დელეგატებმა აღნიშნეს თეატრალური დადგმების უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირში.

კითხვაზე, თუ როგორია დელეგაციის წევრთა აზრი საბჭოთა სომხეთში საზღვარგარეთელი სომხების გადმოსახლების შესახებ, პასუხი გასცა დელეგაციის მეთაურმა ბ-ნ ევანსმა:

— ამ საკითხში, — ამბობს იგი, — ჩვენი დელეგაციისა და ინგლისის საზოგადოებრიობის აზრი ერთნაირია. ჩვენ გავიგეთ, რომ სომხეთის მთავრობა დიდ შესაძლებლობას იძლევა, რათა სამშობლოში დაბრუნდნენ მთელს მსოფლიოში გაბნეული სომხები. ამას ჩვენ დიდ საქმედ ვთვლით სომხეთისათვის. ჩვენ ძალიან ბედნიერი ვიქნებით როცა შევიტყობთ, რომ ყველა საზღვარგარეთელმა სომეხმა მიიღო თავის სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა.

— პოლიტიკურად ნაკლებ განვითარებულმა ინგლისელმაც კი, რომელიც ვერ იცნობს სომხეთის ისტორიას, იცის თურქების მიერ სომეხთა ჟლეტის შესახებ. იცის, რომ ამ ხალხმა ძალიან ბევრი იტანჯა, და იგი სიმპატიით ეპყრობა მას, — სთქვა ბ-ნმა ბიშოპმა.

— ინგლისს დაბრუნების შემდეგ ჩვენ ვეცდებით ეს, ჯერ კიდევ გაურკვეველი სიმპატია გარკვეულ საზოგადოებრივ აზრად ვაქციოთ.

ინგლისის პარლამენტის წევრმა ბ-ნმა სილვერმენმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე მან იცოდა, რომ ათასობით საზღვარგარეთელი სომეხი მიემგზავრება საბჭოთა სომხეთში.

მაგრამ აქ ჩამოსვლის შემდეგ, — ამბობს იგი, — მე გავიგე და წარმოვიდგინე ის დიდი მუშაობა, რომელსაც ამ მიმართულებით საბჭოთა სომხეთის მთავრობა ახორციელებს.

გაერთიანება მთელი ხალხისა, რომელიც გაფანტულია მთელ მსოფლიოში, ყველა პირობის შექმნა სომხების აქ გადმოსასახლებლად შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომელიც უზრუნველჰყოფს მათს უშიშროებას და რწმენას ხვალინდელი დღისადმი. ვფიქრობ, სწორედ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო შესაძლებელი შესდგომოდნენ ამ დიდი გეგმის განხორციელებას.

ჩვენ ინფორმირებული ვართ საზღვარგარეთელი სომხების გამოხმაურების შესახებ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებაზე სამშობლოში დაბრუნების ნებართვისა და საზღვარგარეთელ სომეხთა უდიდესი სურვილის შესახებ ჩამოვიდნენ საბჭოთა სომხეთში.

თურქეთის მიერ ძალად წართმეული მიწების საბჭოთა სომხეთისათვის დაბრუნების საკითხზე აზრი გამოთქვა ინგლისის პარლამენტის წევრმა ბ-ნმა სილვერმენმა.

— სამწუხაროდ, — სთქვა მან, — ინგლისელთა უმეტესობამ ცოტა რომ იცის საბჭოთა სომხეთზე, ჩვენ, დელეგაციის წევრებს, რომლებიც საბჭოთა სომხეთში ჩამოვედით, გვესმის, რომ ამ საკითხს თქვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს. ეს პრობლემა ასახავს სომეხი ხალხის დიდ გრძნობებსა და ნატვრას. დაბრუნების შემდეგ ჩვენ ვუამბობთ ინგლისელ ხალხს ამ გრძნობებსა და ნატვრაზე.

— ჩემი აზრით, — ამბობს შემდეგ ბ-ნი სილვერმენი, — ეს საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებით.

დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა ევანსმა თავის მხრივ სთქვა:

— მე მგონია, რომ ამ საკითხზე აქ გულწრფელად უნდა ვილაპარაკოთ. როდესაც საბჭოთა სომხეთში ჩამოვედით, დავინახეთ, რომ, თურქეთის მიერ ძალად მიტაცებული მიწების საბჭოთა სომხეთისათვის დაბრუნება არის საარსებო და პრაქტიკული საკითხი და რომ ამ ამოცანის გადაუჭრელად სომხეთს არ შეუძლია მიიღოს ასი ათასობით მთელ მსოფლიოში გაბნეული სომხები.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

პარიზი, 1 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით პროცედურის საკითხთა კომისია შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ წარმოდგენილ პროცედურის წესთა მუხლობრივ განხილვას. განხილვა დაიწყო საბერძნეთის დელეგაციის შესწორებით წესების პირველი მუხლისა, რომელშიც ლაპარაკია კომისიებში და კონფერენციის პლენარულ სხდომებზე საზავო ხელშეკრულებათა პროექტების განხილვის წესზე. საბერძნეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილმა შესწორებამ უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა თავისი აბნეული რედაქციით: ერთმანეთში არეულ იქნა ორი საკითხი — პლენუმის ან კომისიების განსახილველად წამოყენება ამა თუ იმ ახალი პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან საზავო ხელშეკრულებათა დადებასთან, და ხმის მიცემის წესის შესახებ. საკითხის ასეთი აბნეული დაყენების შედეგად სხდომაზე გაიმართა საერთო ხასიათის დისკუსია, თუმცა საერთო კამათი წინა დღით დამთავრდა.

ავსტრალიის წარმომადგენელმა ევატმა ისარგებლა შემთხვევით, რათა კვლავ გამოსულიყო ხმების ორი მესამედით გადაჭრის წესის წინააღმდეგ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მოლოტოვმა კომისიის წევრთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ სხდომაზე ირღვევა კომისიის მიერ მიღებული წესრიგი. საერთო ხასიათის დებატები უკვე დამთავრდა და ამიტომ განხილულ უნდა იქნას პროცედურის წესთა პირველი მუხლი. მაგრამ საერთო კამათი განახლდა. უნდა ითქვას, რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა დარღვევა ერთადერთი როდია. გადაწყვეტილი იყო, რომ სხდომებს ხელმძღვანელობენ თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარე. მაგრამ თავმჯდომარის მაგიდას უზის მხოლოდ სპააკი. სპააკს მოუხდა გაწევა თავმჯდომარის მაგიდაზე, სადაც ვიცე-თავმჯდომარის ადგილი კარდელმა დაიკავა. მოლოტოვი შეეხო საბერძნეთის შესწორებას და აღნიშნა, რომ აქ არის ორი საკითხი. პირველი მათგანი ეხება ხმის მიცემის წესს. ეს საკითხი შეიძლება განხილულ იქნას მაშინ, როცა კომისია განიხილავს პროცედურის წესების სათანადო მუხლს, და არა ახლა, პირველი მუხლის განხილვისას, რომელიც არ ეხება ხმის მიცემის წესს. საბერძნეთის დელეგაციის მეორე წინადადება ეხება კონფერენციის პლენუმის მუშაობას. ეს წინადადება, როგორც სჩანს, გამოწვეულია გაუგებრობით. საბერძნეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა პირველ მუხლში ითქვას ის, რაც პლენუმმა უნდა გადასჭრას, მაშინ როცა ამ მუხლში სრულიადაც არ არის ლაპარაკი იმაზე, თუ რა უნდა გადასჭრას პლენუმმა.

საბერძნეთის დელეგაციის წინადადების ნაცვლად მოლოტოვმა წინადადება შეიტანა პროცედურის წესთა პირველ მუხლში შეტანილ იქნას დამატება, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ საზავო ხელშეკრულებათა პროექტებთან დაკავშირებული საკითხები კონფერენციას შეუძლია დასვას თავის დღის წესრიგში ერთი ან რამდენიმე დელეგაციის თხოვნით.

„ეს ისედაც თავისთავად იგულისხმება, — სთქვა მოლოტოვმა, — ეს კონფერენციის ყოველი დელეგაციის ბუნებრივი უფლებაა. მაგრამ თუ ვინმე ამას დაჟინებით მოითხოვს, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს საწინააღმდეგო აზრი გამოვთქვათ".

მოლოტოვის ეს წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროცედურის წესთა მეორე მუხლი ეხება გენერალური კომისიის შექმნას. ამ კომისიის შემადგენლობაში შევა კონფერენციაზე წარმოდგენილი ყოველი დელეგაციის თითო წარმომადგენელი. გენერალურმა კომისიამ კოორდინაცია უნდა გაუწიოს ყველა დანარჩენი კომისიის მუშაობას. ეს პუნქტი კონფერენციის მონაწილეთა მიერ მიღებულ იქნა უკამათოდ, თუმცა, როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში ამ მუხლის გამო ცოტა დაბრკოლება როდი იყო, რამდენადაც მინისტრთა საბჭოს ცალკე წევრები ცდილობდნენ გენერალური კომისიისათვის მიეცათ კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოს უჩვეულო ფუნქციები.

მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ პროცედურის წესთა მესამე მუხლი განსაზღვრავს საზავო ხელშეკრულებათა პროექტების პოლიტიკური და ეკონომიური მუხლების განმხილველი კომისიების ორგანიზაციასა და ფუნქციებს. ჰოლანდიის წარმომადგენელმა აზრი გამოსთქვა იმის წინააღმდეგ, რომ თითოეულ კომისიაში ამა თუ იმ ყოფილი მტრული ქვეყნისაგან მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ამა თუ იმ მტრულ სახელმწიფოსთან. ჰოლანდიის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა, რომ თითოეულ კომისიაში მონაწილეობას იღებდნენ კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა 21 სახელმწიფოს დელეგატები. თავისი წინადადების დასასაბუთებლად ჰოლანდიის წარმომადგენელმა წამოაყენა ის საკვირველი არგუმენტი, რომ თითქოს ამა თუ იმ მტრული სახელმწიფოსათვის მოკავშირე სახელმწიფოს მიერ ომის გამოცხადებას მნიშვნელობა არა აქვს და რომ მინისტრთა საბჭოს შემოთავაზებულ წინადადებას თითქოს დისკრიმინაციის ხასიათი აქვს დანარჩენ სახელმწიფოთა მიმართ.

ამან გამოიწვია დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის მაკნეილის საწინააღმდეგო აზრი, რომელიც ამასთან თავის აზრს მხოლოდ იმით ასაბუთებდა, რომ ჰოლანდიელის წინადადება უხერხულია ტექნიკური თვალსაზრისით.

მოლოტოვმა კომისიის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო საკითხის პრინციპულ მხარეს. მან კვლავ ხაზგასმით აღნიშნა ის აზრი, რომ აწინდელი კონფერენცია, არსებითად, არის არა ერთი, არამედ ხუთი კონფერენცია, რამდენადაც იგი ამზადებს საზავო ხელშეკრულებებს ხუთი სახელმწიფოსათვის. ბუნებრივია, რომ შემადგენლობაც იმ კომისიებისა, რომლებიც ეხებიან საზავო ხელშეკრულებებს ამა თუ იმ ქვეყანასთან, უნდა შეეფერებოდეს ამ კომისიების დანიშნულებას. მოლოტოვმა მაგალითისათვის აღნიშნა, რომ, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში განიხილებოდა ფინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს პრეტენზია არ განუცხადებიათ ამ პროექტის შემუშავებაში მონაწილეობაზე, რამდენადაც ისინი ომის მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ ფინეთთან.

მოლოტოვმა წინადადება შეიტანა ასეთი წესი მიღებულ იქნას ამ კონფერენციაზეც. კომისიების შემადგენლობა უნდა დაწესდეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადების შესაბამისად, მაგრამ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამასთან ერთად წინადადება შეიტანა, რომ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს — ამ კონფერენციის მონაწილეებს მოესმინონ კომისიებში, თუ ისინი ამის სურვილს განაცხადებენ.

საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენელმა კუვ-დე-მიურვილმა მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას, თუმცა იგი ისევე, როგორც მაკნეილი, თავის თვალსაზრისს ტექნიკური მოსაზრებებით ასაბუთებდა.

დამსწრეებზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ევატის მორიგმა მომაბეზრებელმა გამოსვლამ. მან გაილაშქრა საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც მონაწილეობას იღებდა გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტების შემზადებაში. ევატი აშკარად ცდილობდა ეპოვნა ხვრელი საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის და შემძვრალიყო ამ ხვრელში. მაგრამ ეს არ მოუხერხდა.

შემდგომი განხილვის მსვლელობაში საბჭოთა დელეგაციის იმ წინადადებამ, რომელიც საქმის ინტერესებისათვის ითვალისწინებს საზავო ხელშეკრულებათა პროექტების განხილვის ყველაზე უფრო დემოკრატიულ წესრიგს, კომისიის წევრთა უმეტესობის მხარდაჭერა ჰპოვა. თუმცა განხილვის ზოგიერთი მონაწილე ცდილობდა ამ წესრიგში ერთგვარი განსხვავება შეეტანა.

საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის — ბირნსის დუმილმა. სხდომის დამსწრეთა მიერ ეს დუმილი შეფასებულ იქნა, როგორც იმ წინადადების მხარდაჭერაზე უარის თქმა, რაც მიღებულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისსაყრელად დასვა ორი წინადადება — ჰოლანდიის დელეგაციისა და საბჭოთა დელეგაციისა. კენჭისყრის წინ გამოვიდა ჰოლანდიის წარმომადგენელი, რომელიც თავისი წინადადების დასასაბუთებლად ცდილობდა დაემოწმებინა საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებანი.

მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას არაფრით არ შეუძლია დაეთანხმოს ჰოლანდიის დელეგატს, ვინაიდან მისი წინადადება არსებითად მიუღებელია და არ შეესაბამება მოსკოვის გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ეს დელეგატი იმოწმებს. საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას კონფერენციის ყოველი დელეგატისათვის შესაძლებლობა გამოვიდეს ყოველ კომისიაში და გამოსთქვას თავისი აზრი. მაგრამ იმ კომისიების შემადგენლობაში, რომლებიც შეიმუშავებენ საზავო ხელშეკრულებათა რეკომენდაციებს მოსკოვის გადაწყვეტილების შესაბამისად, უნდა შედიოდნენ იმ ქვეყნების დელეგატები, რომლებიც ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან.

ჰოლანდიის წინადადებისათვის კენჭის ყრა სწარმოებდა სახელობრივ. მის წინააღმდეგ მიცემულ იქნა 11 ხმა, ერთმა თავი შეიკავა. ჰოლანდიის წინადადებას ხმა მისცა 9 დელეგაციამ — ავსტრალიის, ბელგიის, ბრაზილიის, კანადის, ჩინეთის, ეთიოპიის, საბერძნეთის, ჰოლანდიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციებმა. ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს ბელორუსიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთის, ნორვეგიის, ახალი ზელანდიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის, სსრ კავშირის, იუგოსლავიის დელეგაციებმა. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ თავი შეიკავა კენჭის ყრაში მონაწილეობისაგან. ჰოლანდიის წინადადება უარყოფილ იქნა.

ბირნსის ფორმალური განცხადება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავს იკავებენ კენჭის ყრაში მონაწილეობისაგან, გახდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ დაკავებული იმ პოზიციის გვირგვინი, რომელიც წინააღმდეგობაში აღმოჩნდა იმ პოზიციასთან, როგორიც მათ ხანგრძლივი განხილვის შემდეგ დაიკავეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში კონფერენციის წინ. სიტყვა „თავს ვიკავებ" იყო ერთადერთი სიტყვა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა წარმოსთქვა პროცედურის საკითხის კომისიის მუშაობის სამი დღის განმავლობაში. ამით ბევრი რამ არის ნათქვამი. დელეგატებს ებადებათ აზრი, რომ ამერიკის დელეგაციის ასეთი პოზიცია საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ბირნსი შემდეგშიც ეცდება, — პირდაპირ თუ არა, არაპირდაპირ მაინც, — მხარი დაუჭიროს ცდებს იმ გადაწყვეტილებათა ძირის გამოსათხრელად, რომლებიც მისი უშუალო მონაწილეობით მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ. ასეთი პოზიციის ორაზროვნებამ უკვე იჩინა თავი დღეს. პროცედურის წესთა შემდგომი განხილვა გადატანილია ხვალინდელი დღისათვის.

* * *

კონფერენციის დღევანდელი პლენარული სხდომა მიეძღვნა საერთო საკითხებზე დისკუსიის განგრძობას. პირველი გამოვიდა ჰოლანდიის დელეგატი ვან-ბეტლერი, რომელმაც ვრცელი მტკიცებათა შემდეგ, რომ მას ამოძრავებს მშვიდობისმოყვარეობისა და რწმენის სულისკვეთება, გაილაშქრა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ წარმოდგენილი საზავო ხელშეკრულებათა პროექტების წინააღმდეგ.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურის კარდელის გამოსვლა. კარდელმა რუსულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა იუგოსლავიის ხალხთა მისწრაფება ხელი შეუწყოს მშვიდობის დამყარებისადმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ერის განვითარების თავისუფლებას. იუგოსლაველები სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად მამაცურად და მტკიცედ იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. სწორედ იმიტომ, რომ ამ ხალხების მამაცობამ გასტეხა გერმანიის ფაშიზმი, მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბნენ დღეს აქ, რათა გადასჭრან მშვიდობის საქმეები.

— მაგრამ ჩვენ დავემსახურებოდით კაცობრიობის უაღრესად მკაცრ განაჩენს, — სთქვა კარდელმა, — თუ არ გამოვიყენებდით ყველა შესაძლებლობას ხანგრძლივი მშვიდობის მშენებლობისათვის. კონფერენცია თავის ამოცანებს ვერ გადასწყვეტდა, ფაშიზმის ფესვების მოსპობის გზაზე რომ არ დამდგარიყო. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ გერმანიის ყოფილ მოკავშირეებს წავართვათ არსებობის ყველა პირობა. ჩვენ კეთილი ნებასურვილის მომხრეები ვართ, მაგრამ ვეწინააღმდეგებით წაყრუებას.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშვიდობის პირველ პირობას წარმოადგენს დამპყრობთა მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება. მან მოწონებით მოიხსენია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ შესრულებული მუშაობა, მაგრამ გამოსთქვა თავისი უთანხმოება მის მიერ მომზადებულ საზავო ხელშეკრულებათა ზოგიერთ მუხლთან. ლაპარაკია ტრიესტის ბედის გადაჭრასა და იმ მუხლებზე, რომლებიც განსაზღვრავენ იტალია-იუგოსლავიის საზღვარს.

კარდელმა აღძრა საკითხი იტალიის მიერ იმ უდიდესი მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე, რაც იუგოსლავიას მოუვიდა იტალიის აგრესიის შედეგად.

დასასრულ იუგოსლავიის წარმომადგენელმა გამოსთქვა რწმენა, რომ თუ იქნება გულწრფელი მისწრაფება თანხმობის მისაღწევად ომისშემდგომი მშვიდობის მოწყობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში, კონფერენცია გადალახავს მის წინაშე არსებულ ყველა სიძნელეს და წარმატებას მიაღწევს.

ახალი ზელანდიის დელეგატი მეზონი თავის სიტყვაში ამტკიცებდა, რომ კონფერენციამ თავის გადაწყვეტილებებში უნდა იხელმძღვანელოს აგრესიის გუშინდელი მონაწილეების პატიების სულისკვეთებით. ამასთან ერთად იგი უსაზღვროდ აქებდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პოლიტიკას.

ნორვეგიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ლანგემ თავის სიტყვაში აღძრა საკითხი აგრესიაში მონაწილეობისათვის იმ ქვეყნების პასუხისმგებლობაზე, რომლებიც გერმანიასთან თანამშრომლობდნენ. მან აღნიშნა, რომ ამ სახელმწიფოთა მთავრობები თანამშრომლობდნენ ჰიტლერთან, რომ ისინი ნებაყოფლობით დაემორჩილნენ ფაშისტური გერმანიის ბატონობას და მონაწილეობდნენ მის ბოროტმოქმედებებში. მიღებულ უნდა იქნას სამხედრო და პოლიტიკური ღონისძიებანი, რათა თავიდან ავიცილოთ აგრესიის განმეორება. უნდა დავამტკიცოთ, რომ აგრესია არახელსაყრელია, რომ მისთვის მძიმე პასუხისმგებლობა აკისრიათ.

— ამავე დროს, — სთქვა ლანგემ, — შესაძლებლობა უნდა მივცეთ ყოფილი მტრული ქვეყნების ხალხებს მალე დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას, ამისი აუცილებელი პირობაა ამ ქვეყნებში მტკიცე დემოკრატიული რეჟიმის დამყარება. ნორვეგიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ შესრულებული მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა. მან აღნიშნა, რომ დიდ სახელმწიფოთა თანამშრომლობა არის მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების აუცილებელი პირობა.

ხვალ კონფერენციის პლენარულ სხდომაზე გაგრძელდება დისკუსია საერთო საკითხებზე.

პარტიული ცხოვრება

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობას არ აფასებენ

წითელწყაროს რაიონში მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდება. უხვ მოსავალს იღებენ კოლმეურნეები. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ჰექტარზე საშუალოდ აიღეს 20-22 ცენტნერი პური.

მიღწევები კიდევ მეტი იქნებოდა, რომ რაიონში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იდგეს.

მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომბაინების წარმატებით მუშაობას, ხოლო კომბაინმა რომ კარგად იმუშაოს, საჭიროა მთელი აგრეგატის მტკიცედ დარაზმვა. ვინ უნდა იყოს კომბაინზე მომუშავეთა შრომის მაორგანიზებელი?

პირველ რიგში პარტიული ორგანიზაციები, ბოლშევიკი აგიტატორები, მესაუბრე-წამკითხველები.

ეს ამოცანა წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებთან და მტს-ებთან არსებულმა მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაივიწყეს.

არიან ისეთი საკოლმეურნეო ბრიგადები, რგოლები და კომბაინის აგრეგატები, სადაც შემთხვევითი ხასიათი აქვს საგიტაციო საუბრებს. კიდევ მეტი. გაზეთებსაც არ ღებულობენ ისინი. კომბაინერების — ელიზბარაშვილისა და გიგოლაშვილის აგრეგატში 17-დან 23 ივლისამდე აგიტატორი არ მისულა. იქ არც გაზეთები მიუტანიათ.

არც ერთ კოლმეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და სოფლების ცენტრში საგაზეთო ვიტრინები არ არის. კიდევ უარესი—საგაზეთო ვიტრინები არ არის რაიონულ ცენტრშიც.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობით აიხსნება ისიც, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოსავლის აღების პერიოდში პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. შ. მოლაშვილი შორეულ კოლმეურნეობაში მიამაგრა, ინსტრუქტორ-პროპაგანდისტი სამუშაოდან გაათავისუფლა და, ამრიგად, მთელი საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა პარტკაბინეტის გამგეს ანაბარა დასტოვა. რა თქმა უნდა, ამან თავისი ვალი დაასვა საქმეს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ხშირად ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები სამეურნეო მუშაკთა როლში გამოდიან და მათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისათვის დრო არ რჩებათ. უდავოა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულება პარტიული ორგანიზაციების უპირველესი საბრძოლო ამოცანაა. სწორედ ამისათვის უნდა გავშალოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ადამიანებთან მუშაობა, რათა დავრაზმოთ ისინი სამეურნეო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

გ. თათარიშვილი
ნ. ჯანჯღავა

უკანასკნელი ფოსტა

„წარმატებით მუშაობა" გაზეთ „კოლმეურნის" მიხედვით

საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს ორგანომ — გაზეთმა „კოლმეურნემ" 27 ივლისის ნომერში პირველ გვერდზე დაბეჭდა წერილი სათაურით: „ბრიგადა ჩამორჩა", რომელიც ასე იწყება:

„მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში" თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება და დანაკარგებთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს".

შემდეგ გაზეთი იქვე განაგრძობს:

„მაგრამ სამარცხვინოდ ჩამორჩა მემინდვრეობის მე-6 ბრიგადა. ბრიგადას კომბაინით აღებულ 50 ჰექტარზე თავთავის აკრეფა არ ჩაუტარებია... ბრიგადაში ნაცვლად 40-სა ყოველდღიურად სამუშაოდ გამოდის 25-30 კოლმეურნე".

კიდევ მეტი. გაზეთის მეორე გვერდზე მოთავსებულ წერილში „კუს ნაბიჯით" — ვკითხულობთ:

„კოლმეურნეობა „შრომას" ჯერ კიდევ აქვს მოსავალი ასაღები. მოსავლის აღების ვადები გადის, ყანებს შამბი ერევა, მარცვლეული იფანტება, მოსალოდნელია სტიქიური უბედურება"...

ეს არის კოლმეურნეობის წარმატებით მუშაობა?

გაზეთ „კოლმეურნის" ფურცლებზე ასეთი ფაქტები იშვიათი როდია.

როგორც სჩანს, გაზეთის რედაქტორი ამხ. ზ. ბოლაშვილი დაკისრებულ მოვალეობას არასერიოზულად ეკიდება.

იუგოსლავიის ფეხბურთელთა შეხვედრა ლენინგრადის ნაკრებ გუნდთან

ლენინგრადი, 1 აგვისტო. (საქდესი). დღეს ლენინგრადში შედგა ომის შემდეგ პირველი საერთაშორისო ფეხბურთის მატჩი. იუგოსლავიის გუნდი „პარტიზანი" შეხვდა ლენინგრადის ნაკრებ გუნდს.

თამაში დამთავრდა იუგოსლავიის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ლევან ასათიანი

რუსთავში

საქართველოში მეტალურგიული მრეწველობის აღორძინება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ის ნაყოფია დიდი **სტალინის** აზრისა და ნაფიქრის. მისი განხორციელება დაკავშირებულია **ლავრენტი ბერიას** ღვაწლთან და ამაგთან. თუ ძველი საქართველო ორი მდინარის — მტკვრისა და რიონის ხეობაში გაშენდა, იმავე მდინარეებზე დაითო ახალი საბჭოთა საქართველოს ორი ბრწყინვალე ჩირაღდანი — ზაჰესი და რიონჰესი, რომელთაც გააშუქეს გზა ახალი ინდუსტრიული საქართველოს განვითარებისა. პირველი გიგანტი, რომელიც ჩვენი მეტალურგიული მრეწველობის განვითარების გზაზე აღიმართა, იყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. მაგრამ იმ საწარმოს, რომელიც ამ ხუთწლედში უნდა აშენდეს, ფეროშენადნობთა ქარხანა, ცხადია, ვერ შეედრება.

* * *

რუსთავი, ოდესღაც ჰერეთის სამთავრო ქალაქი, საზამთრო სადგური ქართველი მეფეებისა, XIII საუკუნეში მონღოლებისაგან მოოხრებული, შემდეგ უკვე აღარ აღორძინებულა ახალი ცხოვრებისათვის. ძველი პოლიტიკური და კულტურული დიდების ერთადერთ მოწმედ რჩებოდნენ მხოლოდ ციხის ნანგრევები და მტკვრიდან გაყვანილი სარწყავი არხი. ისტორიკოსი ვახუშტი მე-18 საუკუნეში რუსთავის გამო წერდა: „გამოსვლასა ბერძა ყეენისასა მოოხრდა და აწცა არს ოხერ"-ო.

ამ ძველ მიწაზე, რომელიც იალღუჯის მთის გასწვრივ მტკვრის სანაპიროზეა გადაშლილი, ახლა იწყება საოცარი ცხოვრება. აქ, ვეებერთელა ტერიტორიაზე, რომლის სიგრძე ათ კილომეტრს, ხოლო სიგანე 5 კილომეტრს სჭარბობს, შენდება სრული ციკლის მძლავრი მეტალურგიული გიგანტი თავისი დამხმარე საწარმოებით და სახელოსნოებით, თავისი სოციალისტური ქალაქით.

მომავალი ქარხნის მასშტაბებზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1950 წლიდან მან ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 430 ათასი ტონა თუჯი, 500 ათასი ტონა ფოლადი და 380 ათას ტონაზე მეტი სხვადასხვა სახის ნაგლინი. ქარხანას ექნება ორი ბრძმედი და ექვსი მარტენის ღუმელი.

ამ პროდუქციის გამოსაშვებად ქარხანას სჭირდება რკინის მადანი და ქვანახშირი. იგი იმუშავებს დაშქესანის რკინის მადანზე, ხოლო ქვანახშირს მიიღებს ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის შახტებიდან.

დაშქესანის მთები აზერბაიჯანშია. ისინი კავკასიონის განშტოებას წარმოადგენენ. დაშქესანში ახლა დიდი სამზადისია—ეწყობა მაღაროები, შენდება ხიდები და ვიადუკები რკინიგზისათვის. რკინის საბადოები მზად უნდა იყვნენ, როგორც კი მეტალურგიული ქარხანა ამუშავდება.

ასეთსავე სამზადისში არიან ტყიბული, ტყვარჩელი და ახალციხე. იქ გაჰყავთ ახალი შახტები. მარტო მომავალი წლისათვის მზად უნდა იქნეს ხუთი ახალი შახტი. ისინი 1.450 ათას ტონა ქვანახშირს მისცემენ ქვეყანას ყოველწლიურად. საქართველოს ქვანახშირის მაღაროები სავსებით უზრუნველჰყოფენ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მოთხოვნილებას.

* * *

ელმავალი ანელებს სვლას. სპეციალური ლურჯი მატარებელი—„რუსთავი — თბილისი" ჩერდება ბაქანთან. თვალს ავლებ მიდამოს... და ხედავ გრანდიოზული მშენებლობის პროცესს. ახალი საცხოვრებელი სახლები, სახელოსნოები, დამხმარე ქარხნები უკვე აღმართულან თვალუწვდენ ტერიტორიაზე. ახალი, ფართო, სწორი გზები სერავენ ერთმანეთს. მრავალი ათეული სატვირთო მანქანა დაჰქრის სხვადასხვა მიმართულებით. ისინი დატვირთულნი არიან საშენი მასალით, ხე-ტყით, კირით, ბეტონით, რკინის ზოდებით... გზის პირას ნორჩი ჭადრებია დარგული. მებაღეები გულმოდგინედ რწყავენ ახალგაზრდა ხეებს... ყველგან, საითაც უნდა გაიხედოთ, გულმოდგინე მუშაობაა გაჩაღებული, ყველას თავისი საქმე აქვს, ყველას თავისი დრო და ვადა აქვს დანიშნული, ყველას ერთი ფიქრი და საზრუნავი ამოქმედებს.

* * *

მარტენის ღუმელის ჩონჩხები უკვე იწყებენ სამირკვლიდან ამოსვლას. შენდება დამხმარე საამქროები, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, — უზარმაზარი ქარხნები: სარემონტო-მექანიკური, ფოლადის ჩამომსხმელი, სამჭედლო და ლითონ-კონსტრუქციების. ეს დამხმარე ქარხნები მალე შევლენ ექსპლოატაციაში.

ამჟამად უკვე მუშაობს ბეტონის კომბინატი, რომელიც პემზა-ბეტონის ფილებს ამზადებს სახურავისათვის. ამ ფილებით უკვე გადახურულია სარემონტო-მექანიკური ქარხნის ჭერი. ეს ორიგინალური სახურავი სამშენებლო ტექნიკის ახალი სიტყვაა. ის იძლევა სახურავი რკინისა და ხე-ტყის მასალის უდიდეს ეკონომიას.

ხე-ტყის სახერხი ქარხანა ამზადებს კარ-ფანჯრებს მომავალი საცხოვრებელი სახლებისა და ქარხნებისათვის. აქვე აკეთებენ მაგიდებს, სკამებს, განჯინებს.

მტკვარზე აგებენ დიდ ხიდს, რომელიც ქარხნის ტერიტორიას დააკავშირებს მდინარის გაღმა ნაპირთან, სადაც განზრახულია სოციალისტური ქალაქის დიდი ნაწილის გაშენება.

აგებულია დროებითი ელსადგური. მომავალში მის ადგილს დაიჭერს ამჟამად მშენებლობაში მყოფი თბოსადგური. როგორც დამხმარე საამქროების, ისე მთავარი ქარხნის კორპუსების ასაგებად უამრავი სამშენებლო მასალაა საჭირო. ეს მასალა დიდი საბჭოთა კავშირის თითქმის ყოველი კუთხიდან მოდის, რომ ქარხნის მშენებლობა დროზე დამთავრდეს: ურალი ჰგზავნის ფურცლოვან რკინას, სომხეთი—ვარდისფერ ტუფს, აზერბაიჯანი — თეთრ სამშენებლო ქვას, ლენინგრადი—დაზგებს და მანქანებს.

ცოტა კი არ უნდა ქარხნის მშენებლობას: მარტო ხე-ტყის მასალა მას სჭირდება 330 ათას კუბმეტრამდე, ცემენტი—112 ათასი ტონა, სხვადასხვა რკინა—100 ათასი ტონა. მთელი ამ მასალის გადმოსაზიდად საჭიროა რკინიგზის 2.000 ეშელონი...

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის აგებაზე ამჟამად რამდენიმე ათასი კაცი მუშაობს. გამოცდილი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებმაც საწარმოო წრთვნა საბჭოთა კავშირის დიდი მეტალურგიული ქარხნის აგებაზე მიიღეს, ხელმძღვანელობენ რუსთავის მშენებელთა არმიას.

მშენებლობის უფროსია ნესტორ გიორგაძე, დიდი ენთუზიასტი, პარტიისა და სამშობლოს მიერ დავალებული საშვილიშვილო საქმისა. ის მკაცრი და მომთხოვნელი მეთაურია. ქარხნის მშენებლობაზე თავისი ცოდნა, გამოცდილება, ნოვატორული შთაგონება და ულევი ენერგია გამოიჩინეს მოწინავე ტექნიკური აზრით აღჭურვილმა ადამიანებმა — ინჟინრებმა—გ. ევგენიძემ, ნ. აბდალაძემ, ა. ხარებავამ, ნ. ჰიპაშვილმა, ალავერდიანმა; მემონტაჟეებმა — ა. მურაბოვმა, ივ. ლუჩენკომ, მ. შაბლიმ; ამწევი მექანიზმის მემანქანემ კ. ტელმანოვმა, ინჟინერმა ალ. პილიპენკომ და მრავალმა სხვამ. მათი ენერგიული მუშაობით მშენებლობა სწრაფად მიიწევს წინ.

* * *

მომავალ ქარხანაში სამუშაოდ საჭიროა რამდენიმე ათასი მეტალურგი მუშა. საქართველოს არ ჰყავდა მეტალურგი მუშები. და აი ახლა, დონბასის, ურალისა და ციმბირის მეტალურგიულ ქარხნებში გაგზავნილია 5.000 ქართველი ჭაბუკი, რომლებიც თუჯისა და ლითონის ჩამოსხმის ოსტატობას სწავლობენ. ეუფლებიან ამ რთულ ცოდნას, რომ დაბრუნების შემდეგ სავსებით მომზადებულნი შეუდგნენ მუშაობას ახალ ქარხანაში.

მალე ქართველი მეტალურგი მუშების ეს პირველი არმია ჩამოვა სამშობლოში. ისინი იქნებიან ქართული თუჯისა და ქართული ფოლადის ავტორები.

მაგრამ ნაყოფიერი შრომა შეუძლებელია, თუ მას არ ახლავს რიგიანი, გონიერი დასვენებაც. შრომის კულტურა გაპირობებულია კულტურული ყოფა-ცხოვრებით და კულტურული დასვენებითაც.

ამ საკითხს ერთი მთავარი ადგილთაგანი უჭირავს ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა შორის.

* * *

რუსთავის ქარხნის მუშებისათვის, მოსამსახურე პერსონალისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის გაცხარებული ტემპით შენდება ახალი ქალაქი. ფართო ქუჩების ორივე მხარეს უკვე აღმართულან ორსართულიანი, ქართული აივნითა და ვერანდებით შემკული სახლები.

ჯერჯერობით სამი უბანია დამთავრებული. აქ ათასობით ადამიანი უკვე ცხოვრობს ახალდაბადებულ ქალაქში. შემდეგი სამი უბნის მშენებლობა წლის ბოლოს დამთავრდება.

მაგრამ ქალაქის მშენებლობა ამაზე როდი შეჩერდება. მისი მთლიანად დამთავრების შემდეგ აქ მოსახლეობა მიაღწევს 40-45 ათას კაცს.

მშენებელ-არქიტექტორებს არ გამორჩენიათ არცერთი წვრილმანი, არცერთი მოთხოვნილება, რომელსაც თანამედროვე კეთილმოწყობილ ქალაქს უყენებს მშრომელი მოსახლეობა.

რუსთავში აშენდება რვაასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, აქედან—700 სახლი ინდივიდუალური კოტეჯების ტიპისა. ყოველ კოტეჯს მიზომილი ექნება 1.000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ბაღისა და ბოსტნის გასაშენებლად.

ქალაქის მთელი ტერიტორიის მესამედი მწვანე ნარგავებით მოიფინება. გამწვანებას უდიდესი ყურადღება ექცევა ქალაქის საერთო დაპროექტებაში. ქარხნის ტერიტორიას ქალაქისაგან გადაღობავს 300 მეტრის სიგანის ტყის ზოლი. ქალაქის მთავარ მაგისტრალზე და აგრეთვე ყველა ქუჩაზე გაშენდება მწვანე ნარგავები და ფართოფოთლიანი ხეები. უკვე ახლა ეზოებსა და ქუჩებს მიჰყვება მწვანე არშია ნორჩი ნარგავებისა: ჭადარი, თუთა, ალვის ხე, ნეკერჩხალი, კაკლის ხე. კაკლის ხეების დიდი რაოდენობით დარგვა სწარმოებს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო მითითების საფუძველზე. კაკლის ხე—ეს ქართული ლანდშაფტის მშვენება და სამკაულია.

ქალაქის გამწვანებაზე მარტო წელს გადადებულია ერთი მილიონი მანეთი. გაზაფხულზე დაირგო 16 ათასზე მეტი ნორჩი ხე, შემოდგომაზე კიდევ დაირგვება 35 ათასი. მწვანე ნარგავების მარაგის უზრუნველსაყოფად შექმნილია სპეციალური სანერგე, რომელიც ასეულ ათასობით საჭიროებელი ხეების ნერგებს მიაწოდებს ქალაქს.

რუსთავში გაშენდება კულტურისა და დასვენების დიდი პარკი, აიგება კლუბი, კინოთეატრი, სპორტული ნაგებობანი, სტადიონი 2.000 კაცისათვის, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა, სკოლები, უნივერმაღი, ვოგზალი, მაღაზიები, გარაჟები, ავტომატური ტელეფონის სადგური, ფოსტა-ტელეგრაფი.

რუსთავი იქნება დიდი კულტურული ქალაქი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მის ცხელ ჰავას გააგრილებენ ბაღები, პარკები, ტყის ნარგავები. რუსთავისათვის შენდება სპეციალური წყალსადენი ბულაჩაურში. ყინულივით ცივი წყალი წამოვა 60 კილომეტრის მანძილიდან, რომ წალკოტად აქციოს საუკუნეთა მანძილზე უდაბნოდ ქცეული რუსთავის მიდამოები. მალე თბილისს გვერდით ამოუდგება ახალი სოციალისტური სამრეწველო ცენტრი — შთაგონებული შრომისა და შემოქმედი ტექნიკური აზროვნების ქალაქი, ბედნიერი ადამიანების ქალაქი.

* * *

რუსთავს პირდაპირ, მტკვარგაღმა, იალღუჯის ხრიოკი მთებია აღმართული. მათ გადაღმა მდებარეობს ძველი ქართული სოფელი მარაბდა. სამასი წლის წინათ მარაბდის ველზე ცხრა ათასი ქართველი ჭაბუკი შეაწყდა მოსულ მტერს. ისინი იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის. მათი საძმო საფლავები ახლაც არის დარჩენილი მარაბდის ახლო. ამ ადგილებს „ნამარს" უწოდებს ხალხი. მარაბდის სოფლის ეკლესიის გალავანში მარხია ცხრა ძმა ხერხეულიძე, რომლებიც მარაბდის ბრძოლაში დაიხოცნენ. საფლავის ქვებზე ამოკვეთილია ამ ვაჟკაცების სახეები, მათი სისხლიანი ხმლები, მათი საყვარელი სურები და ჩონგურები. ისინი დაიხოცნენ, რომ ეცოცხლა საქართველოს, ისინი დარჩნენ წარსულში, რომ მომავალი ჰქონოდა მათ სამშობლოს. მათი სისხლი, მათი თავდადება და ამაგი უკვალოდ არ დაკარგულა. ქართულმა მიწამ და წყალმა აღზარდა ახალი მოდგმა ვაჟკაცებისა, რომლებმაც განაგრძეს წინაპართა ტრადიციები... ცოცხლობს და დღეგრძელობს საბჭოთა საქართველო.

მეოთხე სტალინური ხუთწლედი ახალი დიდი ეტაპია საბჭოთა საქართველოს განვითარების გზაზე. რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, სამგორის ამწვანებული ველი—ეს დიდი საწინდრებია ამ ჭეშმარიტად მომხიბლავი გზისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რ. ა. რუდენკოს საბოლოო სიტყვა*)

სამხედრო ჯგუფი

რამდენიმე ბრალდებული ომის მთავარ დამნაშავეთა ამ პროცესში თითქოს საკუთრივ სამხედრო პირთა ჯგუფს ქმნის. თუ განზე დავტოვებ გერინგს, როგორც სრულიად სპეციფიკურ ფიგურას — პოლიტიკოსსაც, სამეურნეო მუშაკსაც და სამხედრო პირსაც ერთ პიროვნებაში, — მაშინ უნდა დავასახელო კაიტელი, იოდლი, დენიცი და რედერი. სასამართლო ძიების პროცესში ამ პირების მიმართ საბრალდებო აქტის ყველა მონაცემი არათუ სავსებით დადასტურდა, არამედ ბრალდების საფუძვლები კიდევ მეტიც გახდა.

დამამტკიცებელი საბუთები, მოწმეთა ჩვენება, მათ შორის ნაწილობრივ იმ მოწმეებისაც, რომლებსაც დაცვის შუამდგომლობით გამოუძახეს, არ შეიძლებოდა მძიმე ტვირთად არ დამატებოდა ბრალდების სასწორს.

ამ ბრალდებულთა დამცველნი ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ იმაში, რომ მათი მარწმუნებელნი ბედის ძალით, თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, ვახდნენ ავბედითი ტრაგედიის მონაწილენი.

თვით ბრალდებულნი — კაიტელი, იოდლი, დენიცი და რედერი—აქ, სასამართლოში, ცდილობდნენ კეთილშობილ გულუბრყვილო ადამიანთა როლში გამოსულიყვნენ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ თავისი ძალღონის მიხედვით დაცვა ეხმარებოდა მათ ამ საქმეში. ჩვენ ბევრი რამ მოვისმინეთ ჯარისკაცის ღირსებაზე, სამხედრო დისციპლინაზე, მოვალეობისა და ფიცისადმი ერთგულებაზე, ამასთან დაკავშირებით მათ მიერ ჰიტლერის ბრძანებების იძულებით შესრულებაზე, ისეთი ბრძანებებისაც კი, რომლებიც მათს ფიქრებში ეჭვებსა და პირდაპირ პროტესტსაც იწვევდა. მათი პოზიციის ასეთი გაშუქება სავსებით ამახინჯებს საქმის რეალურ მდგომარეობას.

ვიდრე კაიტელის, იოდლის, დენიცისა და რედერის დამნაშავეობაზე ვილაპარაკებდე, მინდა დავაყენო და გადავჭრა ოთხი კითხვა.

პირველი: იცოდნენ თუ არა ამ ბრალდებულებმა, რომ ჰიტლერული გერმანია საერთაშორისო ვალდებულებებს არღვევდა და აგრესიული, დამპყრობლური, მძარცველური ომების მთელ სერიას ამზადებდა?

მეორე: იღებდნენ თუ არა თვითონ ისინი აქტიურ მონაწილეობას ამ ომების დაგეგმვაში, მომზადებაში, გაჩაღებასა და ჩატარებაში?

მესამე: დამნაშავენი არიან თუ არა ისინი ომის კანონთა და ჩვეულებათა ცინიკურად გათელვაში?

მეოთხე: პასუხისმგებელნი არიან თუ არა ისინი მშვიდობიან ადამიანთა მხეცურად დახოცვისა და მოსპობისათვის, სამგზავრო და საჰოსპიტლო გემების ჩაძირვისათვის, იმ ქალაქებისა და სოფლებისათვის, რომლებიც ჰიტლერული რაიხის სამხედრო მანქანამ მოსპო ისე, რომ არავითარი სამხედრო საჭიროება ამას არ მოითხოვდა?

მე ვფიქრობ, რომ ესოდენ გულმოდგინე სასამართლო გამოძიების შემდეგ, ყველა, ვისაც კი არ სურს შეგნებულად ჩაიდინოს შეცდომა, დადებით პასუხს გასცემს ოთხივე ამ კითხვაზე.

სასამართლოსათვის წარდგენილმა დამამტკიცებელმა საბუთებმა სავსებით თვალნათლივ დაადასტურეს დამნაშავეთა სამხედრო ჯგუფის დამნაშავეობა უმძიმეს ბოროტმოქმედებებში, მათი აქტიური მონაწილეობა საერთო დანაშაულებრივი შეთქმულების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ის გარემოება, რომ ამ დანაშაულობას სამხედრო მუნდირიანი ადამიანები სჩადიოდნენ, არათუ არ ამცირებს, არამედ, მე მგონია, არსებითად აძლიერებს მათს პასუხისმგებლობას.

როგორ შეიძლება მათ გასამართლებლად დაიმოწმო „ჯარისკაცის მოვალეობა", „ოფიცრის ღირსება", „ბრძანების შესრულების ვალდებულება"? როგორ შეიძლება „ჯარისკაცის მოვალეობასთან" და „ოფიცრის ღირსებასთან" შეათავსო გაუსამართლებლად დახვრეტა და სამხედრო ტყვეების დაღალვა, ქალების, მოხუცებისა და ბავშვების მასობრივად მოსპობა?

ერთადერთი სწორი, რეალური ახსნა იმ გასაოცარი ფაქტისა, რომ ეს გენერლები და ადმირალები ბინძურ, არსებითად სისხლის სამართლის დანაშაულობას სჩადიოდნენ, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ჰიტლერული ფორმაციის გენერლები და ადმირალები იყვნენ. ესენი განსაკუთრებული თესლის ადამიანები არიან. ესენი არიან სამხედრო მუნდირიანი ჰიტლერელები, ჰიტლერული რეჟიმის სულით და ხორცით ერთგულნი.

სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ჰიტლერმა დაიახლოვა ისინი და ესოდენ დიდხანს თანამშრომლობდა მათთან. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ისინი ჰიტლერთან „თანამშრომლობდნენ" ისტორიაში უმაგალითო და უსაზღვრეს დანაშაულობათა ჩადენაში. ისინი სავსებით შეაფერისნი იყვნენ ერთმანეთისა და სავსებით ესმოდათ ერთმანეთისა.

კაიტელი

გადავდივარ რა სამხედროთა ჯგუფზე, ბუნებრივია, მე მინდა დავიწყო ბრალდებულ ვილჰელმ კაიტელით.

კაიტელმა ჰიტლერულ სამხედრო მანქანაში წამყვანი მდგომარეობა დაიკავა მისი ორგანიზაციის პირველი დღეებიდანვე. კაიტელის ადვოკატი აღიარებს რომ —

„დეკრეტმა (1938 წლის 4 თებერვლისა) კაიტელს მიუძღვნა საუცხოო თანამდებობის — შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის უფროსის — სახელწოდება".

და შემდეგ:

„...კაიტელის მუშაობის ფაქტიური მნიშვნელობა უდიდესი იყო.

ეს იყო საშინელი უმადური მუშაობა, რის უმნიშვნელო ჯილდოსაც წარმოადგენდა ბრწყინვალე მდგომარეობა სახელმწიფოს მეთაურის უახლოეს წრეში".

ყველა შემდგომ მოვლენათა თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს, რომ მომავალი აგრესიული ომების დაწყებითი ეტაპი იყო ყოველივე ის, რაც უკავშირდებოდა გერმანიის საიდუმლო შეიარაღებას ვერსალის ზავის შემდეგ.

ძნელია ყოველივე იმის მნიშვნელობის შემცირება, რაც მაშინ ჯერ კიდევ პოლკოვნიკმა კაიტელმა გააკეთა ექსპერტების კომიტეტში, რომელიც თანმიმდევრულად და დაჟინებით ეძებდა და პოულობდა გზებს, რათა შემოევლო ან პირდაპირ დაერღვია ხელშეკრულება.

კერძოდ, არა სხვა ვინმე, არამედ სწორედ პოლკოვნიკი კაიტელი იძლეოდა მითითებას, ჟენევაში ყველაფრის თქმა შეიძლება, რაც გნებავთ, ოღონდ წერილობითი კვალი არ უნდა დარჩეს.

ეს ცინიკური განცხადება სავსებით შეესაბამება იმ როლს, რომელსაც კაიტელი ასრულებდა აგრესიული ომების შემდგომ მომზადებასა და წარმოებაში.

მიუნხენთან ჰიტლერის მოლაპარაკების დროს კაიტელი იმის ცოცხალ მოწმეს წარმოადგენდა, რომ გერმანია მზად იყო იარაღის გამოყენებისათვის.

კაიტელი დირექტივებს იძლეოდა, რომ ჯარი დაეძრათ ჩეხეთისაკენ, როცა პრეზიდენტი გახა ვერაგულად მოიწვიეს ბერლინში „მოლაპარაკების განსაგრძობად".

არა სხვა რომელიმე ორგანიზაცია, არამედ სწორედ გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა იყო მზად აბვერის განყოფილების მეშვეობით პროვოკაციულად გამოეწვია სასაზღვრო ინციდენტი ჩეხოსლოვაკიასთან, რათა გაემართლებინა გერმანელთა ურდოების შეჭრა ჩეხიაში.

კაიტელი თავისი სრულიად საიდუმლო მემორანდუმით ჰესისა და ჰიმლერისაგან მოითხოვდა წინდაწინ ეცნობებინათ შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობისათვის ყველა ღონისძიება, რასაც პარტიული ორგანიზაციები და პოლიცია ახორციელებდნენ და რაც გათვალისწინებული არ ყოფილა „გრიუნის გეგმით".

ფაშისტთა დეკლარაციები, ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის შემდეგ გერმანიას არავითარი პრეტენზიები აღარა აქვს ევროპაშიო, სულერთიანად სიცრუე იყო. ეს იყო აგრესიული ომების მთელი ჯაჭვის ერთი რგოლი.

მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის წამყვანი როლი აგრესიის მომზადებასა და განხორციელებაში. პოლონეთის წინააღმდეგ ომის წარმოებისა და იქ შეჭრის შესახებ დირექტივა ყველასათვის ცნობილია, როგორც კაიტელისა და ჰიტლერის 1939 წლის 10 მაისის დირექტივა. იგი მიმართული იყო სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სახმელეთო ძალების სარდლობისადმი. ამის შემდეგ როგორღა შეიძლება იმაზე ლაპარაკი, თითქოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა ფაშისტური რაიხის ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი მეთაური არ ყოფილიყოს.

თუ ერთხელ კიდევ გადავავლებთ თვალს დოკუმენტებს, რომლებიც ეხებიან გერმანიის აგრესიას ნორვეგიის, დანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, იუგოსლავიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ, ჩვენ შევხვდებით კაიტელის სახელს. იგი გამოდის ხან როგორც უაღრესად პასუხსაგები თათბირების მონაწილე, ხან როგორც რედერის, გერინგისა და გენერალური შტაბისადმი მიცემულ საიდუმლო ბრძანებათა ავტორი. კაიტელისა და იოდლის საკუთარი ხელით ნაწერ ინიციალებს ვპოულობთ ჰიტლერის მიერ ხელმოწერილ საიდუმლო დირექტივაზეც „მარიტის ოპერაციის" განხორციელების შესახებ.

აქ ბევრი ილაპარაკეს „ბარბაროსას გეგმისა" და მისი ავტორების შესახებ. ახლა ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტი შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის წიაღში ჩაისახა ამ ორგანიზაციის უშუალო ინიციატივით, რომ სსრ კავშირზე ვერაგული თავდასხმის დაგეგმილი მეთოდები სწორედ მისი ნამუშევარია.

ყველასათვის ცხადია დოკუმენტზე სამხედრო სპეციალისტის ვიზის როლი.

ზოგი ბრალდებული ცდილობდა სსრ კავშირზე თავდასხმა ყალბად განემარტა როგორც პრევენტული ომი. ეს განცხადებანი იმდენად უსაფუძვლოა და ეწინააღმდეგებიან სასამართლოში დადგენილ უცილობელ დამამტკიცებელ საბუთებს (გერმანულსავე საბუთებს), რომ საჭიროდ არ მიმაჩნია მათზე ლაპარაკით დრო წავართვა ტრიბუნალს.

კაიტელის დამცველმა განაცხადა, ამ ბრალდებულის დაცვა აგებულია იმ თვალსაზრისით, რომ კაიტელი — „იბრძვის, არა თავის გადასარჩენად, არამედ თავისი სახელისათვისო".

მე მინდა დავეხმარო სასამართლოს დაინახოს კაიტელის ნამდვილი სახე. ამისათვის საკმაოა მოვაგონოთ კაიტელის რამდენიმე დირექტივა, რომლებიც სამართლიანად დაიკავებენ ერთ-ერთ პირველ ადგილს სამარცხვინო დოკუმენტებში გერმანიის სამხედრო ხროვის უადამიანობის, მისი სიძაგლისა და იმის შესახებ, რომ მან უტიფრად გასთელა ომის წარმოების წესებისა და ადათების ყველა ცნება.

პოლიტიკური მუშაკების დახვრეტის შესახებ დოკუმენტებით დაწყებული, კაიტელი, ეს ჯარისკაცი, როგორც იგი თავისთავს უწოდებს, „ფიცს" არაფრად აგდებდა, უტიფარ ტყუილს ეუბნებოდა ამერიკის ბრალდებას წინასწარი გამოძიების დროს. იგი ამბობდა, რომ ბრძანებას საპასუხო რეპრესიის ხასიათი ჰქონდა და რომ პოლიტიკურ მუშაკებს დანარჩენ სამხედრო ტყვეებს აშორებდნენ თვითონ სამხედრო ტყვეების თხოვნითო. სასამართლოში იგი ამხილეს. № აშშ — 351, 884-ას დოკუმენტის წარდგენით დამტკიცდა, რომ დირექტივა გაცემული იყო საომარი მოქმედების დაწყებამდე. ჩვენ წარვადგინეთ აგრეთვე დოკუმენტი № სსრკ-62 (გერმანელ სამხედრო ტყვეთა წერილის ტექსტი). ამ დოკუმენტიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ სსრ კავშირზე თავდასხმამდე საველე ჯარებს ინსტრუქცია ეძლეოდა საბჭოთა ქალების, სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიტიკური შემადგენლობის აუცილებლად გაჟლეტის შესახებ.

რაღა უნდა ითქვას თავისი უსაზღვრო ცინიზმით შემაძრწუნებელ ფრაზის შესახებ:

„ადამიანის სიცოცხლე იმ ქვეყნებში, რომლებსაც ეს ეხება, აბსოლუტურად არაფერი არა ღირს.

...დამაშინებელი ზეგავლენა შესაძლებელია მხოლოდ არაჩვეულებრივი სისასტიკის გამოყენების გზით".

ანდა ავიღოთ 1941 წლის 13 მაისის დირექტივა „სამხედრო განსჯადობის შეფარდებაზე „ბარბაროსას" რაიონში. ან 1941 წლის 16 სექტემბრის ბრძანება ყოველი მოკლული გერმანელისათვის 80-დან 100-მდე კომუნისტის სიკვდილით დასჯის შესახებ!

რა შეუძლია აქ სთქვას კაიტელმა დოკუმენტზე, რომელიც ცნობილია „ნახტ უნდ. ნებელის" სახელწოდებით?

ეს შემაძრწუნებელი დოკუმენტებია. ვერავინ დაითვლის წითელი არმიის რამდენი ათასი სამხედრო ტყვე ჯარისკაცი და ოფიცერი მოჰკლეს და წამებით დახოცეს ფაშისტური გერმანიის ბანაკებში. თქვენ გეხსომებათ, რომ 1946 წლის 21 იანვრის საღამოს სხდომაზე მოწმე ლამპმა განაცხადა: მაუტჰაუზენის ბანაკში 50 საბჭოთა ოფიცრის დახვრეტით გართობა მოუწყეს ჰიმლერსო. თქვენ გეხსომებათ მოწმე ბლახის ჩვენება, რომ 1944 წლის გაზაფხულზე აწამეს, შემდეგ კი დახოცეს 94 საბჭოთა უფროსი და უმაღლესი ოფიცერი, რომლებმაც სამხედრო ხასიათის ცნობების გამხელაზე უარი განაცხადეს.

მე მინდა გავიხსენო „სს"-ელ პაულ ვალდმანის ჩვენება 840 რუსი სამხედრო ტყვის გაჟლეტის შესახებ. თქვენ გეხსომებათ მოწმე კიველშის ჩვენება, თუ რა აბუჩად აგდებასა და წამებას განიცდიდა თვითეული საბჭოთა ადამიანი, რომელიც გერმანელთა ტყვეობაში მოხვდებოდა.

განა შემიძლია არაფერი ვთქვა კაიტელის დირექტივაზე საბჭოთა სამხედრო ტყვეების დაღალვის შესახებ?

ვერ დავივიწყებთ კაიტელის 1942 წლის 16 დეკემბრის დირექტივას. მას ეწოდება „ბრძოლა ბანდებთან". „ბანდებად" ბრალდებულ კაიტელს მიაჩნდა წინააღმდეგობის ყოველგვარი მოძრაობა და ჯარებისაგან მოითხოვდა უსასტიკესი ზომების მიღებას შეუზღუდველად, მათ შორის ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ.

№ სსრკ — 162 დოკუმენტით საბჭოთა ბრალდებამ წარმოადგინა კურტის ჩვენება. კურტმა განაცხადა, რომ ხვრეტდა და სწვავდა საბჭოთა მოქალაქეებს, ცეცხლს უკიდებდა მათ სახლებს. მარტო მან პირადად დახვრიტა 1.200 კაცი, რისთვისაც მან ვადამდე მიიღო ობერ-ეფრეიტორის წოდება და დააჯილდოვეს აღმოსავლეთის მედლით. იგი კაიტელის მითითებათა შესაბამისად მოქმედებდა. კაიტელის დირექტივა „ბარბაროსას" რაიონში სამხედრო განსჯადობის შესახებ ასეთ ადამიანებს დაუსჯელად ხდიდა. კაიტელს ეკისრება პასუხისმგებლობა კურტისა და მათი მსგავსი პირების მიერ ადამიანების სისხლის დაღვრისათვის.

ახორციელებდნენ რა კაიტელის დირექტივას, აღმოსავლეთ ქვეყნებში სიცოცხლე აბსოლუტურად არაფერი არა ღირსო, ჰიტლერული გერმანიის ჯარისკაცები და ოფიცრები სჩადიოდნენ თავიანთ ბოროტმოქმედებებს.

ბრალდებამ წარმოადგინა დოკუმენტი № სსრკ-51, რომ 1941 წლის 28 აგვისტოს გერმანელთა ჯარები იერიშის დროს თავიანთ საბრძოლო წყობილებათა წინ მიერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. სოფელ კოლპინოში კი ფაშისტებმა ქალებს ჯერ ხიდები და ბლინდაჟები გააკეთებინეს, მერმე ყველანი დახვრიტეს.

იუგოსლავიაში მძევლების მასობრივი დახვრეტა სამხედრო სარდლობისა და სამხედრო ადმინისტრაციის ყოველდღიური პრაქტიკა გახდა.

გერინგისთვის გაგზავნილ 1940 წლის 15 თებერვლის საიდუმლო მოხსენებაში შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა მძევლობას ამართლებს.

მე მინდა დავამთავრო დოკუმენტით № სსრკ-336.

თქვენ, ბატონო მოსამართლენო, გეხსომებათ ეს დოკუმენტი.

იქ ადმირალმა კანარისმა კაიტელს აცნობა, რომ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მეფობდა? — მევინვარებდა თვითნებობა, შიმშილი, მასობრივად ხვრეტდნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს. თავგამოდებულმა ფაშისტმა მზვერავმა კანარისმაც კი, პასუხისმგებლობის შიშით, გვერდი ვერ აუარა თვითნებობისა და ომის საყოველთაოდ მიღებული ყველა კანონისა და ადათების დარღვევის შემაძრწუნებელ აქტებს.

გეხსომებათ აგრეთვე კაიტელის რეზოლუცია ამ მოხსენებაზე:

„მე ვიწონებ და ვიცავ ამ ღონისძიებებს".

ამა წლის 7 აპრილს ჯვარედინი დაკითხვის დროს მე შევეკითხე ბრალდებულ კაიტელს:

„თქვენ, ბრალდებულო კაიტელ, რომელიც ფელდმარშლად იწოდებით და რომელმაც აქ, ტრიბუნალის წინაშე არაერთხელ უწოდეთ თავისთავს ჯარისკაცი, თქვენი შემაძრწუნებელი რეზოლუციით 1941 წლის სექტემბერში დაადასტურეთ ათასობით იმ უიარაღო ჯარისკაცის მკვლელობა, რომლებიც ტყვედ ჩაგივარდათ. ეს მართალია?".

კაიტელი იძულებული იყო ეღიარებინა ეს ფაქტი.

მარტო ასეთი რეზოლუცია სავსებით ამჟღავნებს ფელდმარშალ კაიტელის ნამდვილ სახეს. დაცვის ვერავითარი მოგონილი და ნაჯახირევი საბუთი ვერ მოხსნის კაიტელს პასუხისმგებლობას სისხლის დაღვრისათვის, იმ ურიცხვი ადამიანისათვის, რომელთა სიცოცხლე ფაშისტურმა სამხედრო ხროვამ შესწყვიტა ბრალდებულ კაიტელის ხელმოწერილი ბრძანებებისა და დირექტივების შესასრულებლად.

იოდლი

ბრალდებულ ალფრედ იოდლს ბრალდებულ კაიტელის თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც მის მოადგილეს და ჰიტლერის უახლოეს სამხედრო მრჩეველს.

ყოველივე ის, რაც ჰიტლერული გერმანიის აგრესიული გეგმების მომზადებასა და განხორციელებას ეხება, განუყრელად დაკავშირებულია იოდლის სახელთან ისევე, როგორც კაიტელის სახელთან.

საჭირო არაა ხელახლა ჩამოვთვალო ჰიტლერული გერმანიის ყველა ის აგრესიული აქცია, რომლებიც ახლა კარგად ცნობილია და რომელთაგან თვითეული მოფიქრებული და განხორციელებული იყო ბრალდებულ იოდლის უშუალო მონაწილეობით.

მე, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენელს, მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმის დანაშაულებრივ გეგმას, რომელსაც ჰიტლერელებმა უხეირო დამპყრობ ფრიდრიხ ბარბაროსას სახელი უწოდეს, ჰიტლერისა და კაიტელის ხელმოწერასთან ერთად აქვს ბრალდებულ იოდლის ხელმოწერა. მაგრამ ეს მარტო ხელმოწერა როდია.

ჯერ კიდევ 1940 წლის ზაფხულში რაიხენჰალში იოდლმა გამართა თავისი შტაბის ოფიცერთა პირველი თათბირი, რომელზეც განიხილეს საკითხი საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის შესაძლებლობის შესახებ.

სწორედ ბრალდებული იოდლი ჯერ კიდევ სსრ კავშირზე თავდასხმამდე სწერდა ცნობილ „მითითებებს „ბარბაროსას" რაიონში პროპაგანდის გამოყენების შესახებ". ამ მითითებებში პირდაპირ იყო აღნიშნული, ჯერჯერობით არ უნდა იქნას გაწეული პროპაგანდა საბჭოთა კავშირის დანაწილების შესახებო".

ამრიგად, ბრალდებულმა იოდლმა წინდაწინ იცოდა სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის ნამდვილი მიზნები, მძარცველური, დამპყრობითი ხასიათი ომისა, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის დანაწილებას.

სწორედ იოდლი მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე პროვოკაციული ინციდენტის მომზადებასა და მოწყობაში, რათა გაემართლებინა ჰიტლერული გერმანიის აგრესიული აქცია ამ მშვიდობისმოყვარე ქვეყნის წინააღმდეგ.

სწორედ იოდლმა მოაწერა ხელი 1938 წლის 28 სექტემბრის ბრძანებას „გრიუნის" გეგმის რეალიზაციის შემთხვევაში ეგრეთწოდებული ჰენლაინის კორპუსის გამოყენების წესის შესახებ.

დაცინვად ისმის ბრალდებულ იოდლის სიტყვები „ჯარისკაცის ღირსების" შესახებ, როცა კითხულობ მის ბრძანებას ლენინგრადის, მოსკოვის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მოსპობის შესახებ.

ჰიტლერთან 1941 წლის 1 დეკემბერს გამართულ თათბირზე სწორედ იოდლი ამტკიცებდა უმაგალითო ცინიზმით, რომ გერმანიის ჯარებს საბჭოთა პატრიოტები შეუძლიათ დაუსჯელად „ჩამოახრჩონ, დაჰკიდონ თავდაღმა და ხელ-ფეხი მოჰკვეთონ".

ჰიტლერის უახლოეს სამხედრო მრჩეველს, ჰიტლერული გერმანიის ყველა საშინელი აგრესიული გეგმის მომზადებისა და განხორციელების უშუალო მონაწილეს — ბრალდებულ იოდლს სამართლიანად უკავია ადგილი მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა შორის.

დენიცი და რედერი

ჩემმა ინგლისელმა კოლეგამ ისე დამაჯერებლად და ვრცლად დაამტკიცა ბრალდებულების კარლ დენიცისა და ერიხ რედერის დამნაშავეობა, რომ მე საჭიროდ აღარ მიმაჩნია განსაკუთრებით შევჩერდე ჰიტლერული გერმანიის ამ გროს-ადმირალებზე, რომლებმაც უმძიმეს დანაშაულთა ჩირქი მოსცხეს თავიანთ საადმირალო მუნდირებს.

დენიცმა, როცა მას საბჭოთა ბრალმდებელმა დაჰკითხა, სთქვა, რომ მისთვის გაუგებარია ის მიზეზები, რომელთა ძალითაც ჰიტლერმა სწორედ იგი აირჩია თავის მემკვიდრედ. მე არ მგონია, რომ დენიცი სავსებით გულწრფელი იყოს, როცა ამას ლაპარაკობს. საკმარისია მოვიშველიოთ სასამართლოს 8 მაისისა და შემდეგი დღეების სხდომების სტენოგრამები, რომ დენიცის აღიარების გარეშე მივხვდეთ, თუ რატომ აღმოჩნდა იგი ჰიტლერის მემკვიდრე იმ მომენტში, როდესაც ჰიტლერული „რაიხის" ხომალდი ფსკერისაკენ მიდიოდა. საქმე ის კი არ არის, რომ ასეთ წუთებში ადმირალი იყო საჭირო, არამედ ის, რომ მხოლოდ ჰიტლერელ გროს-ადმირალ დენიცს, სცენიდან წასული ჰიტლერის აზრით, შეეძლო რაიმე გაეკეთებინა ჰიტლერული ხომალდის გადასარჩენად.

ჰიტლერის დროს დენიცი იყო გერმანიის იმპერიის წყალქვეშა ძალების სარდალი. ჩვენ გვახსოვს, თუ რა როლი შეასრულა ამ ომში გერმანიის წყალქვეშა ფლოტმა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თვით დენიცი ამაყობდა ეგრეთწოდებული „ვოლგეისტანის ტაქტიკის" ავტორობით. საბჭოთა ადამიანებს არ დავიწყებიათ როგორ სძირავდნენ დენიცის წყალქვეშა ნავები საჰოსპიტლო გემებსა და ხომალდებს, რომლებითაც ხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის, ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია ბალტიისა და შავ ზღვებში.

ჰიტლერული სახელმწიფოს უკანასკნელმა მეთაურმა ერთმა პირველთაგანმა უნდა აგოს პასუხი ყველა იმ დანაშაულისათვის, რომლებიც საბაბი გახდნენ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სამართალში მიცემისათვის.

რედერის სახელთან დაკავშირებულია საზარელი დირექტივა ლენინგრადის მოსპობის შესახებ.

პროცესზე რედერი შეეცადა ეთამაშნა „პატიოსანი სამხედროს" როლი. მაგრამ უკვე ის, რომ სწორედ იგი ჰიტლერთან და კაიტელთან ერთად აპირებდა „აღგავა პირისაგან მიწისა" ლენინგრადი და მოესპო იმ დიადი ქალაქის სამ მილიონზე მეტი მოსახლეობა, რომლის სახელი განუყრელად დაკავშირებულია კაცობრიობის კულტურისა და ისტორიის განვითარებასთან, — რედერს ხდის ერთ-ერთ მთავარ სამხედრო დამნაშავეთ.

რედერი მონაწილეობდა გერმანიის ფაშიზმის აგრესიის ყველა უმნიშვნელოვანესი გეგმის შემუშავებაში. ამიტომ დანაშაულებრივი ფაშისტური შეთქმულების მონაწილემ ისეთივე სასჯელი უნდა მიიღოს, როგორც სხვა მისმა თანამონაწილეებმა.

კალტენბრუნერი

ბრალდებული ერნსტ კალტენბრუნერი იყო ისეთი ადამიანი, რომელიც ჰიმლერმა ყველაზე ღირსეულად ჩასთვალა დაენიშნა ჩეხი პატრიოტების მიერ სიკვდილით დასჯილ ჯალათ ჰაიდრიხის ადგილზე.

1943 წლის 30 იანვარს იგი დაინიშნა უშიშროების პოლიციის მთავარი სამმართველოსი და სდ-ს უფროსად.

მრავალი დოკუმენტით, კერძოდ კალტენბრუნერის მიერ ხელმოწერილი ბრძანებებით საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანთა მასობრივად გაგზავნის შესახებ, თავისი ხელქვეითების ჩვენებით, მათ შორის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (ამტ-VI) უფროსის ვალტერ შელენბერგისა და შინაგანი დაზვერვის (ამტ-III ან სდ) უფროსის ოტო ოლენდორფის ჩვენებით კალტენბრუნერი სავსებით მხილებულია უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში.

სასამართლოს 1946 წლის 12 აპრილის სხდომაზე, კალტენბრუნერის დაკითხვისას გამოძახებულ იქნა მაუტჰაუზენის ყოფილი პატიმრის იოჰან კანდუტერის ჩვენება. თავის ჩვენებაში კანდუტერი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ ატარებდა დროს კალტენბრუნერი ბანაკში მოსვლისას:

„კალტენბრუნერი სიცილით შემოვიდა გაზის კამერაში; შემდეგ მოიყვანეს ადამიანები ბარაკიდან სიკვდილით დასასჯელათ, ხოლო შემდეგ დემონსტრირებული იყო სიკვდილით დასჯის სამივე სახე — ჩამოხრჩობა, კეფაში დახვრეტა და გაზით მოწამვლა". მე არ შევჩერდები მრავალ დამამტკიცებელ საბუთებზე, რომლებიც არსებობენ, ისინი საკმაოდ არის გაშუქებული სასამართლოს წინაშე. მაგრამ კალტენბრუნერისათვის ერთერთ წაყენებულ ბრალდებაზე მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე.

„რსხა"-ს სხვა დაწესებულებებთან ერთად კალტენბრუნერმა ჰაიდრიხის შემდეგ მიიღო 5 „აინზატცგრუპე". საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს კარგად ახსოვთ გერმანიის ფაშიზმის ეს ავაზაკური ორგანიზაციები, რომლებსაც კალტენბრუნერი მეთაურობდა.

„აინზატცგრუპე ა" მიიდა ლენინგრადის მისადგომებამდე. ეს მან მოაწყო კაუნასთან „№ 9 სიკვდილის ფორტი", ადამიანთა მასობრივი დახოცვის საიდუმლო პუნქტი პანარაში, იგი ახორციელებდა დახვრეტას სალასპილსა და ბიკერნიკის ტყეში რიგის მახლობლად, სდგამდა სახრჩობელთა რიგებს ლენინგრადის ერთ-ერთი გარეუბნის — პუშკინის პარკებში.

„აინზატცგრუპე" გაჩერდა სმოლენსკთან.

ეს იგი იყო, ცოცხლად რომ სწვავდა ბელორუსიის გლეხებს, ხვრეტდა ადამიანებს საშინელი „აქციით" მინსკში, ათასობით ბელორუს ქალებსა და ბავშვებს ახრჩობდა მოწამვლის მანქანებში, „დუშეგუბკებით" სწამლავდა მინსკში, მოსპო გეტო სმოლენსკის ვერხნი სადკოვის რაიონებში.

„აინზატცგრუპე ც" განლაგდა კიევში. ეს ჯგუფი ახორციელებდა გერმანელთა სისასტიკით უმაგალითო მასობრივ „აქციას" ბაბი იარში კიევის მახლობლად, სადაც ერთი დღის განმავლობაში მოსპეს ასიათასი საბჭოთა ადამიანი.

„აინზატცგრუპე გ"-ს დასარბევად მისცეს სამხრეთი ოლქები საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ოლქებიდან. ეს ჯგუფი პირველად სცდიდა საბჭოთა ადამიანებზე „დუშეგუბკებს" სტავროპოლის მხარესა და კრასნოდარში.

კალტენბრუნერის ბედის გადაწყვეტისას არ შეიძლება დავივიწყოთ ის ადამიანები, რომლებიც მოწამლეს „დუშეგუბკებში" სტავროპოლთან, ცოცხლად დამარხეს კიევთან და რიგასთან, ცოცხლად დასწვეს ბელორუსიის ცეცხლწაკიდებულ სოფლებში. ეს უმანკო მსხვერპლნი მის ბინძურ სინდისზეა.

ჯალათის მემკვიდრე და თვით ჯალათი კალტენბრუნერი ახორციელებდა ყველაზე საზიზღარ ფუნქციას ჰიტლერული ხროვის საერთო დანაშაულებრივ გეგმაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტის" № 152, 153.

ბავშვთა თვითმოქმედების მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილმა ჟიურიმ, რომელშიც შედიოდნენ: კუპრაძე (თავმჯდომარე), ბალავაძე, კანდელაკი, კოკელაძე, ბურჭულაძე, მეგრელიშვილი, საჯაია, კიზირია, ლევნიაშვილი, გოძიაშვილი, ფირცხალავა და მერკვილაძე, ამ დღეებში შეაჯამა ბავშვთა თვითმოქმედების მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები. ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის სკოლების 2.050 მოსწავლემ, მათ შორის 248 ინდივიდუალურმა შემსრულებელმა და 79 რაიონისა და ქალაქის 65 კოლექტივმა. ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იყო სასკოლო და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები: მომღერალთა გუნდები, ინსტრუმენტალური ანსამბლები, ქორეოგრაფიული, მხატვრული კითხვის, სახვითი ხელოვნების, სამეცნიერო-ტექნიკური, ხელსაქმის და მხატვრული ტანვარჯიშის წრეები და ცალკეული შემსრულებლები.

ჟიურიმ ოლიმპიადაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის დააჯილდოვა:

მხატვრული თვითმოქმედების დარგში (სიმღერა, მუსიკა, ცეკვა, მხატვრული კითხვა, ინსცენირება, ტანვარჯიში) პირველი ხარისხის ჯილდოებით გორის რაიონის, აჭარის ასსრ რესპუბლიკის და აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა კოლექტივები.

ინდივიდუალურ შემსრულებელთა შორის ამ დარგში პირველი ხარისხის ჯილდოები მიიღეს: ქ. ჩიქვინიძემ, ვ. ჩაჩავამ, ლ. აბაშიძემ, ვ. ტაბატაძემ, ჯ. ვაშაყმაძემ, მ. ბერიძემ (ქ. თბილისი), ლ. გაბუნიამ (თეთრი წყარო), დ. პარუნაშვილმა (საგარეჯო), მაკასარიშვილმა (გორი), ლ. ჭოლოყვამ (აჭარის ასსრ), თოდუამ (ყვარელი), ციალა და მარინა საყვარელიძეებმა და ქ. მიხაშვილმა (ლაგოდეხი), გაბარაევმა და ჯატიევმ (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი), ზ. რატიანმა (წულუკიძე), ლ. კიკილაშვილმა (სიღნაღი), ზ. აბაშიძემ (ორჯონიკიძის რაიონი), კახიანმა და ხორავამ (აფხაზეთის ასსრ), თ. მერკვილაძემ (ქუთაისი) და გ. და ხ. დიასამიძეებმა (აჭარის ასსრ).

მეორე ხარისხის ჯილდო მიეცათ: ქალაქ ქუთაისის, ზუგდიდის, ტყიბულის, ზემო სვანეთის, თელავის რაიონების, კოჯრის № 5 საბავშვო სახლის, მახარაძის რაიონის, ქალაქ ფოთის, ორჯონიკიძის, წულუკიძის, ხაშურის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონების, ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის, ნავთლუღის საბავშვო სახლის აღსაზრდელთა კოლექტივებს და ქალაქ თბილისის მოსწავლეთა გაერთიანებულ გუნდს მიქელაძის ხელმძღვანელობით.

ინდივიდუალურ შემსრულებელთა შორის მეორე ხარისხის ჯილდო მიეცათ: ნ. ღვინეფაძეს, ნ. შილაკაძეს, ნ. ოსკანოვას, ლ. ჭავჭავაძეს, ამირხანიანს, თ. რუსიშვილს, ვ. კინბერგს, მიმინოშვილს (თბილისი), ე. პაპაშვილს (ხაშური), ი. პაიჭაძეს, ფურცხვანიძეს და ვახტანგაძეს (ტყიბული), ნ. ფოცხვერაშვილს (ზესტაფონი), დუნდუას (სამტრედია), გოგოლაძეს (გურჯაანი), სარიშვილს (ლანჩხუთი), ე. ადამიანს (ახალციხე), კახიძესა და ჯაველიძეს (ბოლნისი), ნ. ქიქოძეს, ელ. გორდელაძეს და ვ. ყაჭეიშვილს (აჭარის ასსრ), კ. გერგაიას და ე. გერგაიას (ქუთაისის რაიონი), კ. ბახტაძეს, ლ. უგულავას (წულუკიძე), ტანიას, ბასილაიას, ჩარგეიშვილს და სიხარულიძეს (აფხაზეთის ასსრ), კალანდაძეს (ჩოხატაური), ებანოიძეს (ხაშური), ჩიხარაძეს (გორი).

მესამე ხარისხის ჯილდო მიეცათ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, აბაშის და ქუთაისის რაიონების კოლექტივებს.

ინდივიდუალურ შემსრულებელთა შორის მესამე ხარისხის ჯილდო ერგოთ: ვ. შამათავას, ლ. და ნ. მესხიძეებს (თბილისი), ც. რატიანს, თ. ქიტიაშვილს, გ. მურადოვს, ი. ნოზაძეს (ხაშური), როყვას (ფოთი), ა. კავსაძეს, ც. აბაშიძეს (ჭიათურის რაიონი), ც. დოლიძეს (მაიაკოვსკი), წიკარიშვილს (ახალციხე), ვ. კანჯარაშვილს (საგარეჯო), ნ. ირემაძეს და ვ. ვანაძეს, მოცეკვავეთა ჯგუფს რ. ირემაძის ხელმძღვანელობით (აჭარის ასსრ), შკოლნაიას (წითელწყარო), მაჭუტაძეს, რუსიძეს (მახარაძე), მ. ლეჟავას (წყალტუბო), მ. ნიჟარაძეს (ქუთაისის რაიონი), თ. ჭილაძეს (სიღნაღი), ა. რაზიკაშვილს, ამირაჯიბსა და ჰონქაძეს (დუშეთი), ც. კერესელიძეს (ამბროლაური), გ. ვალიშვილს, თ. ფირცხელაურს (ყაზბეგის რაიონი), გერძელიანს, ა. დადვანს (ზემო სვანეთი), ალანიკაშვილს (ცაგერი), ლ. ქაჯაიასა და ჭონიავას (აფხაზეთის ასსრ), ლ. ძაგნიძეს (ვანი), ნ. ამანათიძეს (მცხეთა), ნანუშიანს (ახალქალაქი), შ., ნ. და ვ. ფოცხვერაშვილებს (ასპინძა), ბოჭორიშვილს (ადიგენი), კიტავას, ესებუას (აფხაზეთის ასსრ) და გ. ბრეგვაძეს (ყვარელი).

სამეცნიერო ტექნიკური თვითმოქმედების დარგში ჟიურიმ პირველი ხარისხის ჯილდოთი დააჯილდოვა:

1. ქალაქ თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური რადიომიმღებებისა და თვითმფრინავების მოძრავი მოდელების კონსტრუირებისათვის (შემსრულებლები: ლ. კოგავა, ს. ღვაბერიძე, ე. მოსესოვი, კ. ჩიხაშვილი, ე. კამარიანი, ა. ეპიტაშვილი, ი. კალაშნიკოვი);

2. ქალაქ ბათუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური მოძრავი გემის მოდელის, მოძრავი ტრამვაის ელექტროხაზის და თვითმფრინავის მოძრავი მოდელის კონსტრუირებისათვის (შემსრულებლები: ს. იზმირიდი, ჰ. ფეოდოროვი, პ. კოსოროკოვი, ჰ. პეტიაკოვი, პ. კუზნიაკოვი, ე. გოგუაძე, აკოფოვი და დიასამიძე);

3. ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური ფუნიკულიორის, ჰიდროელექტროსადგურის მაკეტის და ტესლას აპარატის კონსტრუირებისათვის (შემსრულებლები: მ. როსებაშვილი, ლ. ძეველაშვილი და შ. გვარამაძე);

4. თ. ფერაძე და მ. ცირეკიძე (ტყიბულის რაიონი)—ლენინის სახელობის მაღაროს მაკეტის შესრულებისათვის.

მეორე ხარისხის ჯილდო მიეცათ:

1. ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეს სტალინის სახლისა და ი. ჯავახიშვილის სამუშაო ოთახის მაკეტის შესრულებისათვის (შემსრულებლები: ოუთბერიძე, პაიჭაძე, დუდუჩავა, შენგელია, კალატოზიშვილი);

2. რკინიგზის სკოლებს—მოქმედი შექნიშნის, ტრამვაის მოძრავი მოდელის და ელმავლის მოძრავი მოდელის კონსტრუირებისათვის (შემსრულებლები: ბ. ვასერმანი, ა. შავგულიძე, რ. ჯანიაშვილი).

ფერწერის დარგში პირველი ხარისხის ჯილდო მიეცათ გ. თოთიბაძეს, ჯაფარიძესა და გ. მაისურაძეს (პიონერთა სასახლე).

ძერწვის დარგში მეორე ხარისხის ჯილდო ერგოთ მეჯვრისხევის საშუალო სკოლას (გორი), რომელმაც წარმოადგინა ქანდაკება — ლენინი ლავარძელში; ჭიათურის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურს „კაცხის სვეტის" მაკეტის შესრულებისათვის (შემსრულებელი მოსწავლე ფოფხაძე).

ხელსაქმის დარგში პირველი ხარისხის ჯილდო მიეცა დუშეთის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურს.

მეორე ხარისხის ჯილდო — განთიადის საბავშვო სახლს — მოსწავლეთა ლიტერატურულ-მხატვრული ხელნაწერი ჟურნალის გამოშვებისათვის (აფხაზეთის ასსრ).

პირველი ხარისხის ჯილდო მიიღო ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლემ ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის შედგენისა და გაფორმებისათვის.

ოლიმპიადაში მონაწილე ბავშვთა კოლექტივების, ანსამბლების კარგი ხელმძღვანელობისათვის დაჯილდოებული არიან: პირველი ხარისხის ჯილდოთი ც. მგალობლიშვილი, მიქელაძე, რობაქიძე, (ქ. თბილისი), ვ. პასხოვა (კოჯრის № 5 საბავშვო სახლი), შუბლაძე (აფხაზეთის ასსრ), ჭერაშვილი (ყვარლის რაიონი), ცავა, ხუციშვილი (აფხაზეთის ასსრ), შუბლაძე (ქ. თბილისი), ლ. ნადარეიშვილი; ლ. ეზუხბაია, მ. წურწუმია (ზუგდიდის რაიონი).

ჟიურიმ აღნიშნა აგრეთვე, რომ ბავშვთა თვითმოქმედების დარგში წარმატება აქვთ ოლიმპიადის მონაწილე შემდეგ კოლექტივებს: ქალაქ თბილისის ქალთა 34-ე, 33-ე და 1-ლ საშუალო სკოლებს, თბილისის ლენინის რაიონის მოცეკვავეთა ჯგუფს, ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეს (მონტაჟ „ბარათაშვილის" შესრულებისათვის), კაჭრეთის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ქვემო სვანეთის, წალენჯიხის, დუშეთის, კასპის, ვანის, ყაზბეგისა და თბილისის ორჯონიკიძის რაიონების მოსწავლეთა გუნდებს და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოსწავლეთა ჯგუფს.

ახალი კადრები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა გაანაწილა და რაიონებში სამუშაოდ გაგზავნა თბილისის ა. პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფაკულტეტის 26 კურსდამთავრებული. თბილისისა და ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლებიდან სამუშაოდ გაიგზავნა 58 ახალგაზრდა, რომელთაც დაამთავრეს საბიბლიოთეკო და საკლუბო განყოფილებანი.

ახალგაზრდა კადრები იმუშავებენ ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებში, კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

თბილისისა და ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლების ზოგიერთი კურსდამთავრებული სწავლას განაგრძობს თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფაკულტეტზე. წელს კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლებში მიღებულ იქნება: თბილისში — 120, ქუთაისში — 120 და ზუგდიდში — 90 მოსწავლე. სასწავლებლებში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდიები და უზრუნველყოფილ იქნებიან საცხოვრებელი ბინებით.

გერმანელ ფაშისტთა დივერსიული ორგანიზაციის პროცესი პოლონეთში

ვარშავა, 1 აგვისტო. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ვროცლავის სამხედრო სასამართლოში დაიწყო გერმანელთა საიდუმლო ორგანიზაციის „ფრაიეს დოიჩლანდის" 39 წევრის პროცესი. ამ ორგანიზაციის ცენტრი გერმანიაშია, ხოლო ქვემო სილეზიის ტერიტორიაზე მის საქმიანობას ხელმძღვანელობდა მთავარი შტაბი, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი ბალტცერი. ბოლესლავეცის მაზრაში შტაბის ხელმძღვანელი იყო ინჟინერ-მექანიკოსი არტურ კიუნე. მისი უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ჰერბერტ მიუნიხი, პაულ ფიშიხი, ქსიონძი პაულ ზაუერი და ბრიგიტა დაუმე. არალეგალური ორგანიზაციის კრებებზე გასული წლის ოქტომბერში კიუნე ორგანიზაციის მიზნად სახავდა „პოლონეთისაგან ქვემო სილეზიის ძალდატანებით მოწყვეტას", ხოლო ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად ასახელებდა დივერსიული აქტების მოწყობას ქარხნებსა და კომუნალურ დაწესებულებებში — ხიდების, რკინიგზის ნაგებობათა მოსპობას და სხვა. კიუნეს ბრძანებით არალეგალურმა ორგანიზაციამ მთელი რიგი თავდასხმები მოახდინა პოლონელი გლეხების გასაძარცვავად. ორგანიზაციის წევრებს განზრახული ჰქონდათ აგრეთვე მოეკლათ რამდენიმე გამოჩენილი პოლონელი მოღვაწე. ორგანიზაციის საბოლოო მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების მომზადება. კიუნე ადგენდა დივერსიების გეგმებს და სცემდა ბრძანებებს საბოტაჟის ცალკეული აქტების შესრულების შესახებ.

პროტესტი ტრიესტსა და იულიის კრაინის „ა" ზონაში ანტიფაშისტთა დევნის წინააღმდეგ

ბელგრადი, 1 აგვისტო. (საკდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს ტანიუგის კორესპონდენტის ცნობას, რომ ტრიესტში დაპატიმრებული ანტიფაშისტებისათვის დახმარების გამწევმა კომისიამ საოკუპაციო სამხედრო სამართველოს გაუგზავნა საპროტესტო წერილი, რომელშიც ნათქვამია:

იულიის კრაინის „ა" ზონისა და ტრიესტის ანტიფაშისტთა მასები აღშფოთებული არიან იმ ფაქტით, რომ ტრიესტის, ტრენის, გორიციისა და პოლას საპყრობილეებში ჯერ კიდევ დატიმრებულია ბევრი ანტიფაშისტი მებრძოლი, რომლებიც საოკუპაციო სამხედრო სამმართველოს სამოქალაქო პოლიციამ შეიპყრო. ჩვენ ბრალს ვდებთ საოკუპაციო სამხედრო სამმართველოს იმაში, რომ ანტიფაშისტები დევნას განიცდიან მათი თანმიმდევრული ბრძოლისათვის, რაც მიმართულია ფაშიზმის მოსპობისაკენ. მიუხედავად ყველა დაპირებისა და, კერძოდ, პოლკოვნიკ ბოუმენის ოფიციალური დაპირებისა, რომ გადასინჯული იქნებოდა ანტიფაშისტთა დაპატიმრების ყველა შემთხვევა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრიესტის საპყრობილეებში ჯერ კიდევ ჰყავთ 252 ანტიფაშისტი, ხოლო ტრენის საპყრობილეში — 22 ანტიფაშისტი. ზოგი ანტიფაშისტი ამუხად იდევნებს სამოქალაქო პოლიციამ და გორიციისა და პოლას საოკუპაციო სამხედრო სამმართველოს სხვა ორგანოებმა.

ტრიესტისა და იულიის კრაინის „ა" ზონის ანტიფაშისტთა მასები ვერ მოითმენენ, რომ მათი მებრძოლი ამხანაგები დევნას განიცდიდნენ. გადამწყვეტ პროტესტს ვაცხადებთ საოკუპაციო სამხედრო სამმართველოს მოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც არავითარი ნაბიჯი არ გადადგა იმისათვის, რომ მებრძოლი ანტიფაშისტები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში, განთავისუფლებულ იქნან.

წერილში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებულ და ნაცემ ანტიფაშისტთა რაოდენობა ათას ხუთასამდე კაცს შეადგენს.

უნგრეთში შემოიღეს ახალი ფულის ერთეული

ბუდაპეშტი, 2 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ძალაში შევიდა მთავრობის ბრძანებულება უნგრეთში ახალი ფულის ერთეულის — ფორინტის შემოღების შესახებ, გასაუქმებელი პენგოს ნაცვლად. ამ რადიკალური ფულის რეფორმით უნგრეთის მთავრობას იმედი აქვს ბოლო მოუღოს ინფლაციას და საფუძველი ჩაუყაროს ამ ქვეყნის ფინანსურ გაჯანსაღებასა და ეკონომიურ სტაბილიზაციას.

შვეცია-უნგრეთის სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერა

ბუდაპეშტი, 1 აგვისტო. (საკდესი). გაზეთების ცნობით, სტოკჰოლმში ხელი მოაწერეს შვეცია-უნგრეთის სავაჭრო ხელშეკრულებას. შვეცია ღებულობს ვალდებულებას, რომ მიაწოდოს უნგრეთს თევზი, რკინის მადანი, რკინა და ფოლადი, საკისრები, დაზგები, ცელულოზა, ქაღალდის ნაწარმი, მედიკამენტები და სხვა საქონელი. უნგრეთიდან შვეციაში გაიტანენ ლითონის ნაწარმს გემთმშენებლობის მრეწველობისათვის, ალუმინის რკინას, რადიომრეწველობის ნახევარფაბრიკატებს, ბოქსიტებს, ხილის კონსერვებსა და ღვინოს.

ბელგიის მთავრობის ჩამოყალიბება

ლონდონი, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, ბელგიის რეგენტმა პრინცმა შარლმა ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო სოციალისტური პარტიის ლიდერს ჰიუისმანს.

გაზეთი „ივნინგ ნიუსი" ესპანეთში ახალი მთავრობის შექმნის გეგმების შესახებ

ლონდონი, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 30 ივლისს გაზეთმა „ივნინგ ნიუსმა" მოათავსა ცნობა იმის შესახებ, რომ „ამჟამად ლონდონსა და ვაშინგტონში ვატიკანის დასტურით მზადდება გენერალ ფრანკოს მთავრობის შეცვლა ახალი კაბინეტით".

როგორც ფიქრობენ, სწერს გაზეთი, „სახელმწიფო გადატრიალების" ლიდერები იქნებიან გენერალი არანდა და გენერალი უნგრია. ისინი შექმნიან გარდამავალ სამხედრო მთავრობას, რომელიც ყველა განდევნილ რესპუბლიკელს მოუწოდებს დაბრუნდნენ ესპანეთში იმ პირობით, თუ დათანხმდებიან ითანამშრომლონ მთავრობასთან ან, ყოველ შემთხვევაში, არ გაილაშქრონ მის წინააღმდეგ. გამოცხადდება პოლიტიკური ამნისტია. საბოლოო ანგარიშით ჩამოყალიბდება სამოქალაქო მთავრობა და ჩატარდება პლებისციტი მონარქიის საკითხზე. სამოქალაქო მთავრობის შემადგენლობის საკითხი ორი მესამედით შეთანხმებულია ლონდონსა და ვაშინგტონში. ზოგიერთი რესპუბლიკელი ლიდერი მხარს უჭერს ამ გეგმას.

კავამ-ეს-სალთანეს მთავრობის წევრთა გადადგომა

თეირანი, 1 აგვისტო. (საკდესი). 31 ივლისს საღამოს კოლექტიურად გადადგა კავამ-ეს-სალთანეს მთავრობის ყველა მინისტრი. ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ მინისტრები გადადგნენ იმისათვის, რომ მოქმედების თავისუფლება მისცენ პრემიერ-მინისტრს კაბინეტის რეორგანიზაციაში.

ირანის ახალი მთავრობის შემადგენლობა

თეირანი, 2 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს კავამ-ეს-სალთანემ შეადგინა ახალი კაბინეტი.

საგარეო საქმეთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელები კავამ-ეს-სალთანემ დაიტოვა.

გუშინ საღამოს ახალი კაბინეტი შაჰს წარუდგა.

გაზეთი „რაჰბარი" ინგლისელების მიერ ბახრეინის კუნძულებზე სიმაგრეთა მშენებლობის შესახებ

თეირანი, 1 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „რაჰბარის" ცნობით, ერთმა ირანელმა, რომელიც ბახრეინის კუნძულებიდან მეშედში სალოცავად მიდის, განაცხადა, რომ ინგლისელები აძლიერებენ თავიანთ სიმაგრეებს ბახრეინის კუნძულებზე. სპარსეთის ყურეში ინგლისის კრეისერების ჩამოსვლა, ბახრეინის კუნძულებზე სიმაგრეთა გაძლიერება და წაქეზება, რასაც ამჟამად ადგილი აქვს მთელ სამხრეთ ირანში—ხუზისტანში, ფარსსა და ქირმანში — ყოველივე ეს, ირანელის სიტყვით, ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

უშიშროების საბჭოს კომისიის სხდომა ახალ წევრთა მიღების საკითხზე

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-საგომის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს კომისიის პირველ სხდომაზე ორგანიზაციის წევრებად მიღების საკითხის შესახებ ერთსულოვნად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განცხადებანი ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ განხილულ იქნას იმ ქრონოლოგიური რიგის მიხედვით, როგორც ეს განცხადებანი გენერალურმა მდივანმა მიიღო. ამრიგად, ალბანეთის განცხადება პირველი განიხილება. კომისიამ აგრეთვე განაცხადა, რომ დღემდე განცხადებანი წევრად მიღების შესახებ მიღებულია აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა, ავღანეთისა და ტრანსიორდანიისაგან. განცხადება ორგანიზაციაში შესვლის განზრახვის შესახებ მიღებულია სიამისგანაც, მაგრამ ეს განცხადება კიდევ უნდა დაადასტუროს სიამის მთავრობამ.

ამერიკის კონგრესის წევრები ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ ჩინეთში

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. (საკდესი). სუნ იატ-სენის ქვრივის ქ-ნ სუნ ძინ-ლინის ამასწინანდელ განცხადებას ჩინეთის საქმეებში ამერიკის ჩარევის შესახებ მოწონებით შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა პროგრესული ელემენტი, რომლებიც მოითხოვენ, რომ შეერთებულმა შტატებმა ხელი აიღონ გომინდანისათვის სამხედრო დახმარების გაწევაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრების ჯგუფმა დემოკრატიული პარტიისაგან ჩინეთის მიმართ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა. წარმომადგენელთა პალატის წევრმა ვაშინგტონის შტატისაგან სევეჯმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მას შემდეგაც განაგრძობდა ჩინეთისათვის სამხედრო საჭურვლის მიწოდებას, რაც ვადა გაუვიდა (მარტის დამლევს) ლენდ-ლიზის (ე. ი. იჯარით ან სესხად მიწოდების) კანონს, და ამის შესახებ კონგრესისა და ამერიკის ხალხისათვის ინფორმაცია არ მიუცია. სევეჯმა აღნიშნა, რომ კუნძულ ოკინავასა და წყნარი ოკეანის სხვა ბაზებზე საკმაო ამერიკული საჭურველი რჩება მილიონიანი არმიის უზრუნველსაყოფად, და სთქვა, რომ ეს საჭურველი შეტანილი არ არის სამხედრო ქონების გარდაქმნაში და რომ, როგორც მან საიმედო წყაროებიდან იცის, ამერიკის მთავრობა ამჟამად გომინდანს ეთანხმება ამ საჭურვლის მიყიდვაზე ნახევარი მილიარდი დოლარი ახალი კრედიტის ანგარიშში. სევეჯმა განაცხადა, რომ გომინდანის მოღვაწეთაგან ოფიციალური პირების ანგარიშებზე ანაბრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის დროს ერთი თუ ორი მილიარდი დოლარი შეადგინა, და მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ განმარტოს, რატომ არ იყენებს ჩინეთის მთავრობა გომინდანის მოღვაწეთა პირად ანაბრებს, სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ახალ კრედიტებს სთხოვდეს. განაცხადა, რომ გროვდება მასალები, რაც შესაძლებელს ხდის „ბრალი დაედოს ჩინეთში საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებისათვის საშიშ სამოქალაქო ომის ხელშეწყობის დანაშაულებრივი პოლიტიკისათვის პასუხისმგებელ პირებს", სევეჯმა მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა შესწყვიტონ „ფარისევლური პოლიტიკა".

გაზეთ „პ. მ."-ის კორესპონდენტი პადოვერი აცხადებს, რომ „სიტყვიერად ჩვენ მშვიდობის სასარგებლოდ გამოვდივართ, მაგრამ ჩვენი ფული და იარაღი მორალურ გავლენას ახდენს ომის სასარგებლოდ".

ელეონორა რუზველტმა მოიწონა სუნიატსენის ქვრივის განცხადება და სთქვა, რომ ბევრი ამერიკელი მოისალმებოდა სამხედრო ჩარევაზე ხელის აღებას მშვიდობისათვის ხელშესაწყობად.

სენატმა უარყო კანონპროექტი ამერიკის შეერთებულ შტატებში სულზე გადასახადის წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 31 ივლისი. (საკდესი). სენატმა 39 ხმით 33 ხმის წინააღმდეგ უარყო სულზე გადასახადის წინააღმდეგ მიმართული კანონპროექტი. ამრიგად, კვლავ დარჩა სისტემა, რომელიც ფაქტიურად ხმის უფლებას ართმევს მილიონობით მოქალაქეს 7 სამხრეთ შტატში (ალაბამა, არკანზასი, მისისიპი, სამხრეთ კაროლინა, ტენესი, ტეხასი და ჯორჯია). კანონპროექტის მომხრეებმა, რომელთაც ამოდით, რომ სენატორები სამხრეთის შტატებიდან ობსტრუქციას მიმართავენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ კანონპროექტის დამტკიცებას, წინადადება შეიტანეს კამათის შეზღუდვის შესახებ, მაგრამ სენატის წევრთა — რესპუბლიკელთა ჩრდილოეთ შტატებიდან და დემოკრატთა სამხრეთ შტატებიდან — კოალიციამ ხელი შეუშალა ხმების ორი მესამედის რაოდენობით საჭირო უმრავლესობის მიღებას და, ამრიგად, კანონპროექტი ჩაშალა.

დემოკრატმა სენატორმა მიდმა (ნიუ-იორკის შტატიდან), რომელიც ხმის მიცემამდე გამოვიდა, განაცხადა, რომ „იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატები დემოკრატიას მოითხოვენ მსოფლიოს სხვა ნაწილებში, არ სცნობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 მილიონი კაცის ხმის მიცემის უფლებას". მიდმა განაცხადა, რომ მსოფლიო ყურადღებით ადევნებს თვალყურს სენატის მოქმედებას ამ საკითხში.

წინათ წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა ეს კანონპროექტი, რომელიც შეტანილი იყო წარმომადგენელთა პალატის წევრის მუშათა პარტიისაგან მარკანტონიოს მიერ.

ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის განცხადება

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მექსიკოდან იუწყება, ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციამ განაცხადა, რომ მექსიკის მეწარმეთა ასოციაციის ლიდერები ჰქმნიან მეწარმეთა ორგანიზაციას, რომელიც მთელ კონტინენტს მოიცავს. ამ ასოციაციის მიზანია „მეწარმეთა ინტერესების დაცვა და წინააღმდეგობის გაწევა მუშათა ორგანიზებული მოძრაობისათვის, რომელსაც ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაცია წარმოადგენს".

სენატორ პეპერის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, პენსილვანიის კოლეჯში პენსილვანიის 500 პედაგოგის კონფერენციაზე სიტყვა წარმოსთქვა სენატორმა პეპერმა (დემოკრატი ფლორიდის შტატიდან), რომელმაც გამოსთქვა შიში იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ამჟამად გეზს იღებს „საერთაშორისო რეაქციულ ელემენტებზე". მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ორი უდიდესი შეცდომა მდგომარეობს მცდარ წარმოდგენაში, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ „ომში კომუნიზმის წინააღმდეგ" და რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „პარალელური ინტერესები აქვთ" ინგლისთან მთელ მსოფლიოში.

მდგომარეობა პალესტინაში

ტელ-ავივში საალყო წესები გამოცხადდა

კაირო, 2 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „პალესტაინ პოსტის" ცნობით, ინგლისის სამხედრო ხელისუფლებმა გუშინ ქალაქ ტელ-ავივში საალყო წესები შემოიღეს. ქალაქის მცხოვრებთ ორი საათის განმავლობაში ნება დართეს შეესყიდათ საჭირო პროდუქტები, რის შემდეგაც არავის არ ჰქონდა ნება ქუჩაში გამოსულიყო. ყოველგვარი კავშირი ქალაქთან შეწყვეტილია, მოძრაობა ქალაქში შეჩერებულია. სამხედრო ხელისუფალთა ბრძანების თანახმად ყველა, ვინც ქუჩაში გამოვა, დახვრეტილ იქნება გაუფრთხილებლად. 20 ათასზე მეტმა ინგლისელმა ჯარისკაცმა და პოლიციელმა დილიდან საყოველთაო ჩხრეკა დაიწყო ქალაქის შენობებში. გუშინ ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ეჭვით დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე ასეული ებრაელი. მთელი გუშინდელი ღამის განმავლობაში ქალაქს თავზე უფრენდნენ ინგლისის თვითმფრინავები.

არაბული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, გუშინ ქალაქის ერთერთ სინაგოგაში აღმოჩენილ იქნა საჭურვლის, საომარი მასალის, ფეთქებადი ნივთიერების, გრანატებისა და რევოლვერების დიდი საწყობი. ოპერაციას ხელმძღვანელობენ პალესტინაში ინგლისის ჯარების სარდალი და პოლიციის მთავარი დირექტორი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

კინოებში

3 აგვისტოს: რუსთაველის სახელობის, **დამკვრელი** (საზაფხულო და ზამთრის) და **ლუქსემბურგის სახელობის**—„ფიცი". **სპარტაკი** — „ორი მებრძოლი". **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო)—„სილვა", (ზამთრის)—„პარტიული ბილეთი". **ოქტომბერი** — „რუსლან და ლუდმილა". **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „დიდი ვალსი", (ზამთრის) — „სიმღერა რუსეთზე".

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (მთაწმინდა)

4 აგვისტოს **სალამო-სეირნობა**

მიძღვნილი რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღესადმი. ესტრადაზე კონცერტი.

ვოკალური ოქტეტი კომპოზიტორ ვ. ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით და საქართველოს ფილარმონიის მსახიობები მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 9 ს. და 15 წ.

სამკითხველო დარბაზში — ამხ. კოდუას მოხსენება: „სსრკ უდიდესი სარკინიგზო სახელმწიფოა".

დასაწყისი საღამოს 7½ ს. დასწრება თავისუფალია. დღის 12 საათიდან საბავშვო ცეირნობა.

თბილისის კინომსახიობთა სკოლა აცხადებს 1946-47 სასწავლო წლისათვის I კურსზე მიღების პირობებს:

1. კინომსახიობთა სკოლაში მიიღებიან ახალგაზრდები 17 წლიდან 25 წლამდე საშუალო ცოდნით. 2. გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

ა) მეტყველება (მონოლოგი, ლექსი, იგავ-არაკი), ბ) იმპროვიზაცია (სასცენო ამოცანები) გ) ხმა, სმენა, მუსიკალობა, დ) რიტმულობა, ე) ქართული ლიტერატურა, ვ) ისტორია.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, 2. ავტობიოგრაფია, 3. ორი ფოტოსურათი, 4. სამხედრო ბილეთი, 5. პასპორტი.

განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოს.

მეცადინეობა იწარმოებს 1 სექტემბრიდან საღამოს საათებში.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 164.

დირექცია

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თბილისის სავაჭრო-კულინარული სკოლა აწარმოებს მსმენელთა მიღებას დახლის მუშაკთა ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე. მსმენელებად მიიღებიან შვიდწლედდამთავრებული ქალები და ვაჟები 18-დან 35 წლის ასაკამდე. კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან სამუშაოდ თბილვაჭრობის სისტემაში. განცხადებათა მიღება სწარმოებს ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე. სწავლა დაიწყება 10 აგვისტოს. სკოლის მისამართი: ჩაიკოვსკის ქ. № 9, მე-2 ქალთა საშუალო სკოლის შენობა, ტელეფონი 3-52-10.

დირექცია

მოქალაქე **ნიკოლოზ მირონის-ძე სულაძემ**, მცხოვრებმა შინდისის ქ. № 6, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლიდა პეტრეს-ასულ სკიდანაჯასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **რაჟდენ რაჟდენის-ძე ჩიმაკაძემ**, მცხოვრებმა გორის ქ. № 3, აღძრა საქმე ართვინის ქ. № 34 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ბესარიონის-ასულ დოლიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

საჭიროა

უფროსი ეკონომისტი და ბუღალტერი ცენტრალურ აპარატში სამუშაოდ. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ შემდეგი მისამართით: მთავრობის სახლი, მე-6 სართული, ოთახი № 29, ტელეფონი № 3-89-24. კადრების განყოფილება.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება მწერალ დეჩა შენგელიას შვილის გოჩას გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/VIII, 8 ს. გამოსვენება 4/VIII, 2 ს. ჟორესის, 4.

ვარლამ ბაქრაძის ოჯახი იუწყება გენადი (პუსა) ვარლამის-ძე ბაქრაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/VIII, 7½ ს. გამოსვენება 4/VIII, 5½ ს. მერკვილაძის, 29.

მეუღლე რომანოზ ანჯაფარიძე, შვილები დათიკო, მარგარიტა, ზინა, შოთა, სიძეები სოსო ბერიშვილი, შალიკო გიორგაძე, რძალი მერი შვილებით იუწყებიან მინადორა ლევანის-ასულ ქავთარაძე-ანჯაფარიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/VIII, 8 ს. გამოსვენება 4/VIII, 5 ს. რუსთაველის პროსპექტი, 41.

მეუღლე მარო გედევანიშვილი, და ჯაროლ, ძმები ალექსანდრე, ილიკო, სიძე გიორგი ქალაიშვილი ოჯახებით იუწყებიან პარმენ ხარდიონის-ძე ჩიქოვანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/VIII, 8 ს. გამოსვენება 4/VIII, 6 ს. ჟორესის, 20.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, საერთაშორისო ცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის —3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უმ 00082